საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

ირაკლი დარჩიძე

ტურიზმის მდგრადი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი

სონია ჩეჩელაშვილი

ხიჭაური

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში ,,ტურიზმის მდგრადი განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ განხილულია ტურიზმის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკაში, ტურიზმის ინდუსტრიის მსოფლიო ტენდენციები და ამ ინდუსტრიაში საქართველოს ჩართულობის საკითხი.

ნაშრომში გაანალიზებულია ტურიზმის სფეროში ინოვაციური საქმიანობა, რაც ამ სფეროს განვითარების ერთ-ერთი ინდიკატორია. დღეს ტურიზმის მთავარი მახასიათებელი კონკურენტუნარიანობაა, რომლის ზრდისთვის აუცილებელია ინოვაციური მოდელების შემუშავება.

ნაშრომში გაშუქებულია საქართველოში ტურიზმის ინოვაციური სახეების ფუნქციონირების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები, საუბარია ტურიზმის თანმხლებ რისკებსა და გამოწვევებზე. ასევე, გაკეთებულია დასკვნები და შესაბამისი რეკომენდაციები ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის.

აღნიშნული საკითხების კვლევაში ვეყრდნობით სამეცნიერო ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს, სტატისტიკურ მასალას, ინტერნეტ-წყაროებს.

Annotation

The master's work “Perspectives of Sustainable Development of Tourism in Georgia” discusses the role and importance of tourism in the international economy, global trends in the tourism industry and Georgia’s participation in this industry.

The study analyzes the innovation of tourism, which is one of the indicators of the development of this industry. The main characteristic of tourism today is competitiveness, which is necessary for the development of innovative models.

The document highlights the current situation and prospects for the functioning of innovative types of tourism in Georgia, as well as the risks associated with tourism and challenges. Conclusions and related recommendations were made to support sustainable tourism development.

The document highlights the situation and the challenges associated with it. Conclusions, Statistical materials, Internet sources.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი……..……**გვ. ↄ**

თავი I. ტურიზმი გლობალიზაციის პირობებში

1.1. ტურიზმის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებაში..... 9

1.2. მსოფლიო ტენდენციები ტურიზმის ინდუსტრიაში……....13

თავი II. ინოვაციების ზეგავლენა ტურისტული ბიზნესის კონკურენტუნარიანობაზე

2.1. მოდელირების დანერგვა ტურისტული საწარმოების საქმიანობაში..... 19

2.2. ტურიზმის ახალი სახეობების ინოვაციური განვითარებისა და სტიმულირების მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში.....23

თავი III. ტურიზმის მდგრადი განვითარების პირობები და სტრატეგიები საქართველოში

3.1. ტურიზმის მდგრადი განვითარების პოტენციალი საქართველოში.....33

3.2. ტურიზმის ძირითადი მიმართულებები და არსებული რისკ-ფაქტორები საქართველოში.....3

6 3.3. ტურიზმის მდგრადი განვითარების პერსპექტივები საქართველოში.....40

3.4. კვლევა.....48

დასკვნა…….....54

გამოყენებული ლიტერატურა…….....7

შესავალი

თემის აქტუალობა - ტურიზმი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობ
შემადგენელი ნაწილი და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელო
ბერკეტია. მისი როლი და მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება. 21-ესაუკუნეში, გლობალიზაციის ეპოქაში ტურიზმი ჩამოყალიბდა, როგორც მსოფლიო კულტურისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების დარგი და განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურაში. იმისათვის, რომ ტურიზმმა ეკონომიკური მოგება მოუტანოს ქალაქს, სახელმწიფოს, მისი განვითარება უნდა ატარებდეს მდგრად ხასიათს და ამავე დროს თავისი ბუნებით უნდა იყოს დამზოგავი.

ტურიზმის ინდუსტრია ხელს უწყობს შემოსავლების ზრდას, ეკონომიკის დივერსიფიკაციას, გარემოს დაცვასა და სხვადასხვა ქვეყნის კულტურათა დაახლოებას. ტურიზმი ერთადერთი დარგია, რომელსაც სწრაფი მოგება მოაქვს; იგი ის სფეროა, რომლის წყალობითაც ერთდროულად ვითარდებაინ ინდუსტრიის სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული დარგები.

ტურიზმის ეფექტური პოლიტიკა მოითხოვს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფს ისტორიული, რელიგიური და არქეოლოგიური ძეგლების დაცვას, მოფრთხილებას. ასევე, ინფრასტრუქტურის მშენებლობას, გზების გაყვანას, ჯანდაცვის დაწესებულებების შექმნას, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების გახსნას. ყველაფერი ეს კი, საერთო ჯამში, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და შემოსავალს ზრდის სახელმწიფო ბიუჯეტში. ამიტომ მდგრად ტურიზმს, როგორც ეკონომიკურ დარგს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტურიზმის მდგრადი განვითრების პირობებისა და საქართველოში ამ ასპექტებთან დაკავშირებული პრობლემების

კვლევა აქტუალურად მივიჩნიეთ. რეგიონული საწარმოო კომპლექსების მდგრადი განვითარების მიღწევა წარმოადგენს ერთიანი კონკურენტუნარიანი ნაციონალური ეკონომიკის ფორმირების საფუძველს. ეს შეეხება სახალხო მეურნეობის ყველა სფეროს, მათ შორის, ტურიზმს თავისი რთული სოციალურ-ეკონომიკური სისტემით. აღნიშნული სისტემა კი მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს, მათ შორის, ადამიანურ რესურსებს, ბუნებრივ-რეკრეაციულ ობიექტებს და სხვა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარება გულისხმობს პროცესს, რომლის ფარგლებში განვითარება მიმდინარეობს რესურსებისათვის ზიანის მიყენებისა და მათი ამოწურვის გარეშე. სწორედ ეს ზრდის განვითარების შესაძლებლობას.

ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარების მოცულობები და ტემპები დამოკიდებულია ღირსშესანიშნაობებზე, ბუნებრივ-რეკრეაციული ზონების მდგომარეობაზე, ისტორიულ მემკვიდრეობასა და კულტურულ მოდელებზე. ამ რესურსებზე რაიმე სახის დამანგრეველი ზემოქმედება ამცირებს ტურისტული რეგიონების მიმზიდველობას, რაც ამართლებს ბუნებრივი და კულტურული რესურსების შენარჩუნების პროცესის სუბსიდირებას ტურისტულ ქვეყნებში.

თუმცა ტურისტულ კომპლექსს, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც ეკონო-მიკური სისტემა, შეუძლია მიიღოს მდგრადი განვითრების ვექტორი და გახდეს კონკურენტუნარიანი იმ შემთხვევაში, თუ საწყისი ინსტიტუციური სტრუქტურები სახელმწიფო ორგანოებისა და სამეურნეო სუბიექტების სახით, გაითავისებენ ტურიზმის როლის უდიდეს მნიშვნელობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომ იკურ განვითრებაში და დაიწყებენ მისი ტერიტორიული ქვესისტემების განვითარების ურთულესი პოლიტიკის გატარებას.

ამგვარი განვითრებისთვის რეალური პირობების შექმნა საჭიროებს ახალი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების შემუშავება-გააზრებას, ქვეყანაში ტურიზმის მდგრადი განვითრების პრობლემების შესწავლის აუცილებლობას. ტურიზმის პოზიციიდან პრობლემების შესწავლა გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან დაიწყო და ჯერ კიდევ შეუსწავლელია რიგი პრობლემებისა, რომლებიც

დაკავშირებულია რეგიონებში, სახელმწიფოებში ტურიზმის მდგრად განვითარებასთნ.

ამდენად, პრობლემის აქტუალობამ, თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომ-ებისა და პრინციპების ახლებური შემუშავების აუცილებლობამ ტურიზმის სტაბილური განვითარების სტრატეგიული ორიენტირების გამოვლენამ განაპირობა სამაგისტრო ნაშრომის მიზნები, ამოცანები და ძირითადი მიმართულებები.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარების პრობლემების გამოკვლევა და მათ გადასაწყვეტად გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის ამოცანებია:

1. ტურიზმის როლისა და მნიშვნელობის ასახვა საერთაშორისო ეკონომიკაში;
2. მსოფლიო ტურიზმის თანამედროვე ტენდენციები
3. მოდელირებების და ინოვაციების გაანალიზება ტურიზმის სფეროში;
4. ტურიზმის ახალი სახეობების განვითრების ხელშეწყობა საქართველოში;
5. საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითრების პერსპექტივების გაანალიზება.

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარების პრობლემების გამოვლენისადმი კომპლექსური მიდგომასა და საქართველოს არსებული რესურსული პოტენციალის, დარგის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისადმი თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით ინოვაციური წინადადებების შემოთვაზება.

სამაგისტრო ნაშრომი ითვალისწინებს შეთავაზებას ტურისტული მომსახურების ხარისხის შეფასების მეთოდიკის მოდელირების თაობაზე. ეს მეთოდები დახმარებას გაუწევს დარგის სპეციალისტებს კონკრეტული უპირატესობისა და ტურისტული მომსახურების კონკრეტული ელემენტების ნაკლის გამოვლენაში.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები შეავსებს საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარების თეორიის ასპექტთა რიგს.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ შესაძლებელია კვლევის რეზულტატების გათვალისწინება ტურიზმის განვითარების სფეროში, ტურისტული კომპლექსების მართვის სისტემის ორგანიზებაში.

სამაგისტრო ნაშრომის **სტრუქტურა** განსაზღვრულია კვლევის მიზნებითა და ამოცანებით და შედგება შესავლის, სამი თავის, ქვეთავების, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

თავი I.ტურიზმი გლობალიზაციის პირობებში

1.1. ტურიზმის როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებაში

ტურიზმის სფერო თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკის ყველაზე უფრო სწრაფადგანვითარებადი დარგი, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, სამუშაო ადგილების შექმნას, სიღარიბის დაძლევას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას და შესაბამისად, ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას.

მე-20 საუკუნის ბოლოდან ტურიზმი გადაიქცა საერთშორისო და ინტერნაციონალურ ინდუსტრიად, რასაც ხელი შეუწყო ორმა ურთიერთ განმაპირობებელმა ფაქტორმა. ერთი მხრივ, ტურისტული საწარმოები დიდი სარგებლისა და შემოსავლების გასაზრდელად სისტემატიურად აფართოებენ მოგზაურობის გეოგრაფიას მთელ მსოფლიოში და მეორე მხრივ, რენტაბელობის ასამაღლებლად ახდენენ ტურისტული ბიზნესის ინვესტირებას საერთაშორისაო დონეზე.

ტურიზმის საშუალებით მსოფლიოში XXI საუკუნის დასაწყისისთვის 2000 მილიონი სამუშაო ადგილი შეიქმნა. გარდა ამისა, საერთაშორისო ეკონომიკის ეს პოპულარული სფერო ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ბუნებრივი თუ ისტორიულ-კულტურული რესურსების გამოყენებას, დაცვას, განვითრებას, ამა თუ იმ ქვეყნის ცნობადობის უზრუნველყოფას და მისი შემოსავლების ზრდას, მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ამაღლებას.

უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში ,,ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი“ (მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, სანტიაგო, ჩილე, 1999 წლის 1 ოქტომბერი) ტურიზმი განხილულია, როგორც:

- ინდივიდუალური და კოლექტიური სრულყოფის ფაქტორი;
- მდგრადი განვითარების ფაქტორი;
- სფერო, რომელიც იყენებს კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას და თავისი წვლილი შეაქვს მის განვითარებაში;
- საქმიანობა, რომელიც ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანია მასში მონაწილე ქვეყნებისა და ხალხებისათვის.

ტურიზმი სხვადასხვა ხალხებს შორის დიალოგის პირობების შექმნის საშუალებაა. მისი განვითრებით დაინტერესებული მრავალი კომპანია სულ უფრო და უფრო რწმუნდება, თუ რა დადებითი როლი შეიძლება ითამაშოს ამ სფერომ ადამიანების ურთიერთგაგებაში. ქვეყანაში სწორად წარმართული ტურიზმის პოლიტიკის შედეგად იზრდება ტურისტთა რაოდენობა, რაც განაპირობებს მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის წარმომადგენელთა შორის, ხელს უწყობს ერების დაახლოებას, მათ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას, მშვიდობის დამყარებას (Скобкин С., 2007: 409).

ტურიზმის ზრდა-განვითარება მთელ მსოფლიოში განპირობებულია კარგი პოლიტიკური კურსის გატარებით. მთავრობებმა, კერძო სექტორმა და არაკომერციულმა დაწესებულებებმა ერთად უნდა იმუშაონ, რათა იყვნენ ლიდერები მდგრადი ტურიზმის პოლიტიკის შექმნაში, რომელიც გასცდება ეკონომიკურ სარგებელს და მოიცავს ეკოლოგიურ და კულტურულ ინტერესებსაც.

ტურიზმი, როგორც ეკონომიკური ფენომენი, საზოგადოების განვითარების აქტუალური საკითხების სხვადასხვა ასპექტს მოიცავს. მას გააჩნია დასაქმების მზარდი შესაძლებლობები, ასევე ადგილობრივი ბიზნესისთვის დიდი ფულადი შემოსავლების მომტანია. ტურიზმის მდგრადობის დონე, მისი ეკონომიკური მნიშვნელობის მუდმივი ზრდა მსოფლიო ლიდერებმა მიიჩნიეს ზოგადად ეკონომიკის მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანეს საშუალებად (Мирсакова В., 2016:18) .

ტურიზმი ახალი დარგია, მაგრამ მისი ფესვები უშორეს წარსულშია საძიებელი. საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ისტორიულმა ცივილიზაციამ

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მოგზაურობის განვითარებაში. მაგალითად, შუმერები დაახლოებით 4000 წლით ადრე ქრისტეშობამდე ვაჭრობდნენ შორეულ ქვეყნებში, ეგვიპტიდან და ინდოეთიდან შემოჰქონდათ საქონელი. ასევე, ვაჭრობა და მოგზაურობა გავრცელებული იყო ძველ ეგვიპტეში, ინდოეთში, ჩინეთში, ფინიკიელებში, ძვ, საბერძნეთში, რომში და ა. შ. (ტურიზმის პოლიტიკა, 2008: 28).

ადამიანები ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე ორი ათასი წლის წინ, XI დინასტიის ფარაონების პერიოდში, მოგზაურობდნენ. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობა შემდგარა ჩვ.წ.აღ-მდე 125 წელს. ეს იყო სიმ ციანის სამი მოგზაურობა ჩინეთის ტერიტორიაზე. ანტიკურ პერიოდში მოგზაურობის ძირითადი მოტივები იყო ვაჭრობა, სამყაროს შეცნობა, გამოჯანმრთელება, განათლება. უკვე ჩვ.წ.აღ-ით I საუკუნეში მოგზაურთა ორგანიზებული მომსახურების ელემენტები წარმოჩინდა, რაც შემდგომში თანამედროვე ტურისტული მომსახურების საფუძველი გახდა (http://vet.ge/wp-content/uploads/2015/08/turizmis-industria.pdf).

როგორც აღვნიშნეთ, ადრეულ საუკუნეებში ხალხი მოგზაურობდა ვაჭრობის მიზნით, რელიგიური რწმენის გამო, ეკონომიკური სარგებლის მიღების, ომის, მიგრაციისა და სხვა ანალოგიური მოტივაციებით. რომის იმპერიის ხანაში შეძლებული არისტოკრატები და მმართველი წრეები მოგზაურობდნენ სიამოვნების მისაღებად და გასართობად. პომპეისა და ჰერკულანუმში მდებარე ზღვისპირა კურორტები საშუალებას აძლევდა რომაელებს გასცლოდნენ რომის ცხელ ზაფხულს და თავი შეეფარებინათ თავიანთი საზაფხულო ვილებისათვის. მოგზაურობა სულ უფრო ინტენსიური ხდებოდა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ცივილიზაციის განვითარებაში (მარგველაშვილი, 2012: 7-8).

რაც შეეხება ადრეული ტურიზმს, მის მამად აღიარებულია მარკო პოლო, რომელმაც ევროპელთაგან ერთ-ერთ პირველმა გადაკვეთა აზიის კონტინენტი. მარკო პოლომ პირველმა შექმნა რაციონალური აზრი მოგზაურობის შესახებ. მანვე მისცა მიმართულება ადამიანებს, გაეგოთ, რა გავლენას ახდენს მოგზაურობა მსოფლიო კულტურაზე, განსაზღვრა მოგზაურობის სოციალურ-კულტურული ასპექტები, გარემოს პირობები სხვადასხვა ლოკაციის ადგილებში და სხვა

საკითხები. ამიტომაც ითვლება მარკო პოლო ,,ადრეული ტურიზმის პოლიტიკის მამად“(იქვე: 29).

დღეისათვის მოგზაურობამ და ტურიზმმა შეიძინა როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური მნიშვნელობა და განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ყველაზე სწრაფად მზარდ ეკონომიკურ სექტორად იქცა.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას კი მე-20 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. ამას ხელი შეუწყო პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, ტექნიკურმა და სოციალურმა ფაქტორებმა. არსებითი გავლენა საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაზე მოახდინა სატრანსპორტო საშუალებების განვითარებამ, რკინიგზის შექმნამ, მოგვიანებით კი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებების გაჩენა-განვითარებამ.

დღესდღეობით ტურიზმი წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ უმძლავრეს, დინამიურად განვითარებად და მაღალშემოსავლიან სფეროს. 2002 წლის დასაწყისისთვის ტურიზმი საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ექსპორტზე პირველ ადგილზე გავიდა და გაუსწრო საავტომობილო მრეწველობას, ქამიური პროდუქტებისა და საწვავის წარმოებას, კვების პროდუქტების, კომპიუტერისა და საოფისე მოწყობილობის წარმოებას და მსოფლიო ვაჭრობის საერთო მოცულობის 7,9% შეადგინა (Игнатьева И., 2014: 35).

ტურიზმის განვითარება, გამოვლენილი მის მრავალდარგობრივ და პრაქტიკულად ყველა სასიცოცხლო სფეროსთან კავშირით, საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას სოციალურ-ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის როგორც ნაციონალურ, ისე რეგიონულ დონეზე.

გლობალიზაციის ეპოქაში თანამედროვე ტურიზმი კომპიუტერული ტექნიკისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვით გადაიქცა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროცესების იმ სფეროდ, რომელმაც ულტრათანამედროვე სატრანსპორტო საშუალებებითა და მომსახურებით სულ სხვაგვარი წარმოდგენები შექმნა დროსა და სივრცეზე. ამის შესაბამისად კი გაჩნდა ახალი ტენდენციები, მოძრაობები, მიმართულებები (Пузаков Е., 2003:19).

ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად ასტიმულირებს სახელმწიფო პოლიტიკა, რასაც, პირველ რიგში, ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და დარგის საკანონმდებლო უზრუნველყოფა განსაზღვრავს. ამ სტრატეგიის შემმუშავებელი და გამტარებელი სახელმწიფო ორგანოა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, რომლის ფუნქციებია:

- ტურიზმის მდგრადი განვითარების დაგეგმვა და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-გატარება;
- კანონშემოქმედებითი საქმიანობა და არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;
- მომსახურების ობიექტების სტანდარტების შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი;
- ტურიზმის დარგში განათლება და პროფესიული მომზადება-გადამზადება, სასწავლო სტანდარტების შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი.

ამრიგად, ტურიზმს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებაში. ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით, ტურიზმი საერთაშორისო ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტია, იგი ხელს უწყობს შემოსავლების წარმოებას, სამუშაო ადგილების შექმნას, ახალი ბიზნესების მომრავლებას, ეკონომიკის დივერსიფიკაციას, ახალი პროდუქტების შემუშავებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას. ტურიზმი უზრუნველყოფს მოქალაქეების ცხოვრების დონის უფრო მაღალ ხარისხს, ამავდროულად, იგი მოიტანს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას (httpr://www.tsu.ge/file db/economist fakultu/vako.pdf).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტურიზმი თანამედროვე ეტაპზე ქვეყნების უმრავლესობისათვის განიხილება, როგორც ეროვნული ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა, დასაქმებისა დაშემოსავლების ზრდის გენერატორი, კრიზისების დაძლევის ძირითადი ინსტრუმენტი.

1.2. მსოფლიო ტენდენციები ტურიზმის ინდუსტრიაში

ტურისტული ინდუსტრია, ზოგადად, ყველა იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთობლიობაა, რომელთა საქმიანობაც ემსახურება მოგზაურობის დროს ტურისტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ტურიზმის ინდუსტრია შედგება მრავალი მომსახურე დარგისაგან, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა ტურიზმისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, წარმოების პროცესში სამუშაო ძალის მომზადების, საზოგადოების მატერიალური და სულიერი ფასეულობების შესწავლისა და ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენების საფუძველზე ტურისტული პროდუქტით და მომსახურების ტურისტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (მეტრეველი მ., 2008:67).

ტურიზმის ინდუსტრია ხელს უწყობს მშვიდობისა და განვითარების გამყარებას ქვეყანაში, გარემოს დაცვას, კულტურათა დაახლოებას და მნიშვნელოვნად ასტიმულირებს სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას და გონივრული კანონმდებლობის დანერგვას, ამიტომ ტურიზმის ინდუსტრია საჭიროებს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეგულირებასაც (Биржаков, 2001: 19).

განვითარებად და ნაკლებადგანვითარებად ქვეყნებში ტურიზმი წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს, განსაკუთრებით მეტ შემოსავალს ტურიზმით იღებს რეგიონის მოსახლეობა, მათ შორის სოციალურად დაუცველი მოსახლეობაც, რადგან ჩნდება ადგილობრივ დონეზე თვითდასაქმების, პროდუქტებისა და ტურისტული მომსახურების რეალიზების პირობები.

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ასპექტებია:

- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ტურისტული საწარმოების მენეჯერებისა და მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- ტურისტული ობიექტების ირგვლივ ტურისტულ რეგიონებში ეკოლოგიური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა;

- ტურიზმის საერთაშორისო ნორმატივებით დადგენილი სტატისტიკური აღრიცხვიანობის და კონტროლის უზრუნველყოფა;
- ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ტურისტული პრიდუქციის უცხოეთის ბაზარზე გატანას;
- ტურისტული ფორმალობების მოწესრიგება და მოგზაურობის უსაფრთხოების ამაღლება.

ტურიზმი აღიარებულია, როგორც მსოფლიოს ,,უდიდესი ინდუსტრია". 1995 წელს ამ დარგმა შექმნა 3,4 ტრილიონი დოლარის მთლიანი შიგა პროდუქტი, რაც მაშინ შეადგენდა მსოფლიო მშპ-ის 10% -ს. დასაქმებული იყო 22 მილიონი ადამიანი და განხორციელდა 637 მილიარდი დოლარის სახელმწიფო შენატანები გადასახადების სახით. ამჟამად ეს ციფრები ბევრად უფრო გაზრდილია.

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით 2016 წელს საერთაშორისო ტურიზმის მოცულობა 4%-ით გაიზარდა და 1. 235 მილიარდი ტურისტი შეადგინა, ანუ დედამიწაზე მცხოვრები ყოველი მეშვიდე ადამიანი კვეთს საერთშორისო საზღვრებს და თვისი წვლილი შეაქვს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის გაზრდაში. UNWTO-ს მონაცემებით, ყოველ მე-11 სამუშაო ადგილს მსოფლიოში ტურიზმის დარგი ქმნის. მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში 10%-ია, ტერიზმი მსოფლიო ექსპორტის 7%-ს, ხოლო მომსახურების ექსპორტის 30%-ს შეადგენს (http://fordes.ge/nevs/2714/turizmis-efeqti).

ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლებით ლიდერობს აშშ 207 მილიარდი დოლარით. ტურისტული დანახარჯების თვალსაზრისით კი ლიდერი ქვეყანა ჩინეთია. 2016 წელს ჩინელი ტურისტების დანახარჯების საერთო მოცულობა 261 მილიარდი იყო.



wyaro: www. unwto.org

ამ დიაგრამიდანაც ჩანს, რომ ძალიან დიდი დაინტერესებაა ტურიზმის მიმართ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა სამხრეთ აფრიკა, აზია, ლათინური ამერიკა,ლ ტანზანია და სხვა.

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში ძირითად როლს ყოველთვის ასრულებდა სახელმწიფო. დღესაც კერძო სექტორს მხოლოდ ოპერატორის ფუნქცია აქვსა. მისი როლი და მისი ფინანსური რესურსი ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისათვის საკმაოდ მწირი და შეზღუდულია.

ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის ინდუსტრიაში გრძელვადიანი სამუშაო გეგმის შემუშავება. რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება ქვეყნის საერთშორისო ბაზარზე პოზიციონირება. შერჩეული ბაზრების მიხედვით ვითრდება პრიორიტგეტული ტურისტული პროდუქტები, ხოლო ამ პროდუქტების მიხედვით კონკრეტულ რეგიონებსა და საკურორტო ზონებში სახელმწიფო იწყებს საკვანძო ინფრასტრუქტურულ პროექტებს. განვითრებულ ინფრასტრუქტურას კი თან მოჰყვება კერძო სექტორის გააქტიურება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების მსოფლიო ტენდენციებში გასათვალისწინებელია კლიმატის ცვლილებაც. 2015 წელს პარიზში გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში მიღებული იქნა შეთანხმება

კლიმატის ცვლილების შესახებ. სწორედ კლიმატის ცვლილება დედამიწაზე გასათვალისწინებელია ტურიზმის სექტორის გრძელვადიან პროექტებში.

ბუნებრივი რესურსებისა და გარე სამყაროს დაცვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ტურიზმის განსავითარებლად. მაგალითად, სასტუმროები, კემპინგები, კურორტები, რომლებიც განლაგებულია ეკოლოგიურად ,,ხელუხლებელ" ბუნებაში, ეგზოტიკურ ადგილებში, უფრო პოპულარულია და მეტ ტურისტს იზიდავს. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში ტურისტები და დამსვენებლები უპირატესობას ანიჭებენ არა პასიურ,. არამედ აქტიურ, ბუნების წიაღში მოგზაურობასა და დასვენებას.

2015 წელს გაეროს 193 ქვეყანა შეთანხმდა 2030 წლამდე მდგრადი განვითარების დოკუმენტის მიღებაზე. ეს დოკუმენტი მოიცავს 17 მიზანსა და 169 ამოცანას. ტურიზმი, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიული დარგი, სამ მიზნობრივ კატეგორიაშია მოხსენიებული. კერძოდ:

- მე-8 მიზანში - ,,სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის";
- მე-12 მიზანში - ,,მდგრადი მოხმარება და წარმოება";
- მე-14 მიზანში - ,,ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითრებისათვის" (http://www.ungeorgia.ge).

„საერთაშორისო ტურიზმის ლიდერ ქვეყნებში, ტურიზმის ინდუსტრიის სექტორების უფრო დეტალური ნუსხა გამოიყენება, აშშ-ის კლასიფიკაციით მასში შედის 39 სახის მომსახურება (გარდა საფინანსო, სარეკლამო და სხვა მომსახურებისა), კანადის კლასიფიკაციით - 41 სახეობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ საქართველოს დანარჩენ მსოფლიოსთან სურს ადაპტირება, მაშინ ქვეყანამ უნდა იხელმძღვანელოს მსოფლიო ტურიზმის სტანდარტებითა და ნორმებით (მეტრეველი მ.,2003:14.).

ტურიზმს უზომოდ დიდი მნიშვნელობა და მრავალმხრივი გავლენა გააჩნია ცალკეული ქვეყნების ცხოვრებასა და მთლიანად მსოფლიო თანამეგობრობაზე. ტურისტული ინდუსტრია ქმნის სამუშაო ადგილებს, ზრდის შემოსავლებსა და მოგებას,

როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით, ზრდის კაპიტალდაბანდებებს, ხელს უწყობს მსხვილი და მცირე წარმოებების განვითარებას, განაპირობებს ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარებას. საერთაშორისო ტურიზმი - მსოფლიო ვაჭრობის წამყვანი მიმართულებათაგან ერთ-ერთია.

ტურიზმი საქართველოში სწრაფად მზარდი სექტორია. მაგრამ აუცილებელია მეტი საინფორმაციო მასალა და საუკეთესო ტუროპერატორები. განსაკუთრებული სარეკლამო კამპანია და მარკეტინგული კვლევებია ჩასატარეებელი ისეთი ტურპროდუქტების ჩასატარებლად, როგორიცაა 5000 მ სიმაღლის პიკებზე ასვლა, სამთო მდინარეებში თევზაობა, გამოქვაბულებისა და ძველი საცხოვრებელი სახლების დათვალიერება, სადეგუსტაციოდ ექსკურსიების მოწყობა, ტრადიციულ საკულტო-სახალხო დღესასწაულებზე დასწრება.

სამწუხაროდ, ადგილობრივი მოსახლეობის სამენეჯერო გამოცდილების უქონლობისა და ფინანსური შეზღუდვების გამო ძალიან რთულდება ტურისტთა მომსახურების დონის გაზრდა განთავსების ადგილებში. ეს ფაქტორი ხარისხიანი ტურპროდუქტის მიწოდების საქმეში მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის და შემომყვან ტუროპერატორებს ხელს უშლის საერთაშორისო ტურისტული პროგრამების შემუშავებაში.

„აღნიშნული პროგრამის მოგვარება არც ისეთი მარტივია. საქმეს მხოლოდ კვალიფიციური კადრები და ფინანსური სახსრები ვერ გადაწყვეტენ. ამ მიმართებით მუშაობა უნდა დაიწყოს ადგილობრივ ტურისტულ ბაზარზე ორიენტირებული ტურპროდუქტის წარმოებითა და მიწოდებით. ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო ორგანიზაციებმა და საზოგადოებრივმა ასოციაციებმა ტურისტულ კომპანიებთან ერთად უნდა აღადგინოს ტურპროდუქტების ის სახეობები, რომლებიც საკმაოდ კარგად იყიდებოდა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ადგილობრივ ტურისტულ ბაზარზე.“(მეტრეველი მ., ტურიზმი:177).

ამრიგად, ტურიზმის ინდუსტრიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. საქართველოც ჩართულია ტურიზმის საერთაშორისო

ინდუსტრიაში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ სფეროს მდგრადი განვითარებისთვის.

თავი II. ინოვაციების ზეგავლენატურისტული ბიზნესის კონკურენტუნარიანობაზე

2.1. მოდელირების დანერგვა ტურისტული საწარმოების საქმიანობაში

ტურისტული ბიზნესი გულისხმობს ურთიერთობათა რთულ სისტემას დამკვეთსა და მომხმარებელს შორის, ტურფირმებსა და მათ კონკურენტებს, ასევე, ბიზნესპარტნიორებს შორის. ტურფირმის საქმიანობა ბაზარზე გულისხმობს: საბაზრო სეგმენტის არჩევას; ტურისტული პროდუქტის შემუშავებას; გაწეული მომსახურების მოცულობის განსაზღვრას; სარეკლამო საქმიანობის გაფართოებას;

სამეცნიერო კვლევებს;ინვესტიციების მოზიდვას;სხვა კომპანიებთან და სახელმწიფო ორგანოებთან ერთობლივ საქმიანობას (Боголюбов В., 2005:47).

ინოვაციური განვითარების გზაზე გადასვლა წარმოადგენს ტურიზმის წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთ ინდიკატორს. დღეს ტურიზმის მთავარი მახასიათებელი კონკურენტუნარიანობაა, რომელიც თავისი მომსახურებითა და შეთავაზებული ტურპროდუქტებით, ადამიანთა დაკმაყოფილების ხარისხით, ასევე, საწარმოო საქმიანობის ეფექტურობით გამოხატავს მოცემული ფირმის განვითარების განსხვავებას კონკურენტული ფირმების განვითარებისგან.

კონკურენტუნარიანობა თავის თავში მოიცავს სამ ძირითად მახასიათებელს:

- ტურისტული საწარმოს მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი;
- ტურისტულ მომსახურებაში შეთავაზებული გასაღებისა და ხარისხიანი სერვისის პოლიტიკა;
- მომხმარებლის მიერ არჩეული უპირატესობა (ფირმის გასვლა მომხმარებლის მიზნობრივ ბაზარზე და საკუთარი ნიშის განსაზღვრა).

თითოეული ტურისტული საწარმოსთვის დღეს მთავარია კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ბაზარზე თავისი პოზიციის გამყარება მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით.

არსებული და დაგეგმილი ტურისტული ბაზებისა და მარშრუტების ტურისტული რესურსები ხასიათდება ატრაქტულობის (მიმზიდველობის) ერთგვარი სიდიდეებით. ამ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს ტურისტული რესურსების კონკურენტუნარიანობისთვის (Киселёва И., 2011:19).

აქვე განვმარტავ, რომ საქართველოს მთვრობის დადგენილების თანახმად ტურისტული საწარმოს სტატუსი შეიძლება მიენიჭოს იურიდიულ პირსაც, რომელიც აშენებს სასტუმროს, ახორციელებს სასტუმროს აქტივების /მათი ნაწილის მიწოდებას და ამ ქონების შემძენთნ გაფორმებული სასყიდლიანი ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის სასტუმრო ნომრებად გამოყენებას (საქართველოს მთავრობის დადგენილება # 279, 2015 წლის 23 ივნისი, მუხლი 2, ქ. თბილისი).

ტურისტული ბიზნესის მდგრადი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანობის ზრდის შეფასების მეთოდების მოდელირება. ერთ-ერთი ასეთი ინოვაციური მოდელია იმიტაციურ-დინამიური მოდელი, რომელიც კომპლექსურად ასახავს ტურისტული საწარმოსსაქმიანობაზე როგორც განვითარების გარე ფაქტორებს (მოთხოვნის სეზონი, ფასების ცვლა, კონკურენციის დონე ბაზარზე და ა.შ.), ასევე შიდა ფაქტორებს. მათ შორის, ინოვაციების შეტანას.

დინამიური მოდელი სამი ბლოკისგან შედგება:

- პირველი ბლოკი მიმართულია საწარმოს კონკურენტუნარიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლებისკენ (მაგ.: გარკვეულ ტურებზე მოდელირების დანერგვა ტურიზმის კონკურენტუნარიანობის შეფასებაში);

ინოვაციური ტურიზმის გზაზე გადასვლა წარმოადგენს ერთ-ერთ ინდიკატორს წარმატებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული შემოსული მოთხოვნების რაოდენობა ან ტურის დატვირთულობის კოეფიციენტი.

- მეორე ბლოკის ფარგლებში ხდება სცენარული მიდგომის რეალიზება, რაც უკავშირდება კონკურენტუნარიანობის ფორმირების პროგნოზირებას.

კლიენტთა მომსახურების - პროცესების ეფექტურობა შეიძლება შეფასდეს მასობრივი მომსახურების სისტემით.

- მესამე ბლოკში მიმდინარეობს ტურისტული ბიზნესის განვითარების მდგრადობის შეფასება; არსებობს მოსაზრება, რომ ტურიზმის სფეროს მდგომარეობა, მოსახლეობის კეთილდღეობა და ბაზრის კონიუნქტურა გავლენას ახდენენ ტურიზმის ფუნქციონირების ეფექტურობაზე; მაშინ, როცა საწარმოთა განვითარების დონე ტურიზმის სფეროს განვითარების ანუ მისი კონკურენტუნარიანობის ხარისხის მაჩვენებელია. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის (რეგიონის) მდგომარეობის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და ტუროპერატორის მომსახურების ზონის ასეთი შეფასება კეთდება საექსპერტო-პროგნოზირების მეთოდით).

ამრიგად, ტურისტული ფირმების საქმიანობის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი მუშაობენ საკმაოდ მძაფრი კონკურენციის პირობებში, მოთხოვნის სეზონური მერყეობის პირობებში. მოთხოვნის ვარდნის პერიოდში ფასების დაწევით საწარმო

კარგავს შემოსავალს და მცირდება მისი კონკურენტუნარიანობის დონე. ასეთ შემთხვევაში გამოსავალი მდგომარეობს ინოვაციებში.

მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური მეთოდების დანერგვა მოითხოვს ზედმეტ დანახარჯს, სანაცვლოდ მათ შეიძლება მოიტანონ დამატებითი მოგება, რისთვისაც საჭიროა მოდელირების დანერგვა. შეფასების ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენება. სწორედ ამ მეთოდებით უნდა მოხდეს ტურისტული ზონის მდგომარეობის შეფასება - ანალიზი, რის საფუძველზეც ხდება კლიენტებისთვის მიმზიდველი ტურის შეთავაზება. მნიშვნელოვანია ტურიზმის დარგის კონკურენტუნარიანობის მართვის მოდელირებული კონცეფციის შემუშავება და დანერგვა.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, ტურისტული საწარმოს რაციონალური მართვა ჩატარდეს ადექვატური დინამიური მოდელების გამოყენებით, რომლებიც ეფუძნება პრინციპულად ახალ მიდგომებს, მათ შორის, რეფლექსურს, უნდა მოხდეს ტურისტული ბიზნესის საწარმოთა კონკურენტუნარიანობის დონის პროგნოზირება იქედან გამომდინარე, რომ ,,ბიზნეს-პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს ტურისტული საწარმოს შიგნით, ინერტულია. საწარმოს გარეგანი გარემო არასტაბილურია, შესაბამისად, საჭიროა განვითარების ტრაექტორიის შეფასება მიღწეული კონკურენტული უპირატესობების საფუძველზე, შემდეგ კი მოხდეს გარემოს ცვლილებისადმი საწარმოს მორგების უნარის გაანალიზება“(Маркеев А., 2006:231)..

ტურისტული საწარმოს კონკურენტუნარიანობის მოდელირებისას გამოყენებული რეფლექსური მიდგომა მდგომარეობს მონაცემთა ნომენკლატურის შემუშავებაში, რომელიც ითვალისწინებს მომხმარებელთა და საწარმოს თანამშრომელთა ინტერესებს.

არსებული და დაგეგმილი ტურისტული ბაზრებისა და მარშრუტების ტურისტული რესურსები ხასიათდება ატრაქტულობის (მიმზიდველობის) ერთგვარი სიდიდეებით. ამ მომენტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ტურისტული რესურსების კონკურენტუნარიანობისთვის

მყიდველის ქცევა ტურისტულ ბაზარზე დამოკიდებულია და ძირითადად განისაზღვრება მომხმარებელთა შემოსავლით. მოთხოვნილების მოცულობაზე

შემოსავლის გავლენა პირდაპირია. რაც უფრო მაღალია მომხმარებელთა შემოსავალი, მით უფრო დიდია მათი რიცხვი (Александрова А., 2002:57).

ტურისტული საწარმოს კონკურენტუნარიანობის მართვის კიდევ ერთი მექანიზმია კონკურენტუნარიანობის დონის ზრდის სათავეებისა და მათი საქმიანობის გაუმჯობესების მიმართულებების გარკვევა. ასეთი ინოვაციური სტრატეგიის შემუშავება ძალიან მნიშვნელოვანია. ამაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ინტერნეტ - მარკეტინგს და რეკლამებს.

ინტერნეტში რეკლამის პირველი შემადგენელი არის გარე რეკლამირება ანუ ბანერები, ტექსტური ბლოკები და სხვა სახის საშუალებები, რომელიც შემდგომ განთავსდება პოპულარულ და თემატურ ვებსაიტებზე ან კიდევ გადაიგზავნება ელექტრონული ფოსტით. გარე რეკლამის ძირითადი მიზანია მომხმარებელთა მოზიდვა კომპანიის ვებგვერდზე, თუმცა გარერეკლამას სხვა მიზნებიც შეიძლება მოჰყვეს.

ინტერნეტში გარე რეკლამის ძირითადი საშუალებებია:

1) ბანერი რეკლამა - ვებსაიტის რეკლამის ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი საშუალებაა, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ადამიანების მოზიდვას (რომლებმაც ჯერ არ იციან ამ ვებ -საიტის არსებობის შესახებ) და ასევე იმიჯის რეკლამირებას;

2) ვებ-საიტებზე რეგისტრაცია და საძიებო სისტემებით ინდექსირება;

3) ელექტრონული ფოსტით სარეკლამო მესიჯების დაგზავნა;

4) პარტნიორული პროგრამების შემუშავება, რაც ახალი სტუმრების მოზიდვისა და ინტერნეტის საშუალებით გაყიდვების გაზრდის საკმაოდ ეფექტური საშუალებაა.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ აუდიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი სკეპტიკურად არის განწყობილი რეკლამებისადმი. აქედან გამომდინარე, რეკლამა ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ზრდის პროდუქტის ცნობადობას,მაგრამარა გაყიდვებს. ამიტომ საჭიროა დამატებითი მარკეტინგული საშუალებების გამოყენება - პოტენციური კლიენტების პოვნა, გაყიდვების მართვა, პიარ-მასალების გამოქვეყნება, პიარ-კამპანიების ჩატარება, აგრეთვე, ინტერნეტში ინფორმაციის რეგულარულად გავრცელება. ყველაფერი ეს აუცილებელია სწორი წარმატებული შედეგისთვის.

ამრიგად, ტურიზმის სფეროს კონკურენტუნარიანობიდან გამომდინარე მისი გადასვლაინოვაციური განვითარების გზაზე წარმოადგენს ტურიზმის წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთ ინდიკატორს.

2.2. ტურიზმის ახალი სახეობების ინოვაციური განვითარებისა და სტიმულირების მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში

1990-იანი წლების მეორე ნახევარში ტურისტული მომსახურების ბაზარზე მკვეთრი კონკურენცია შეიქმნა. უცხოურმა ფირმებმა თავიანთი შესაძლებლობების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს კლიენტებს. მსგავსი მეთოდები თანდათან საქართველოშიც დაინერგა. საქართველოში ტურიზმის განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, თუმცა დარგის მდგრად განვითრებას აფერხებს რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ:

- დაბალი პროფესიონალიზმი;
- მაღალი დაბეგვრა;
- ეკონომიკური არასტაბილურობა;
- სისტემური მეთოდოლოგიის სიმცირე და ა.შ.

თუმცა კონკურენტუნარიანობის ხარისხის შემსწავლელი სპეციალისტების პროგნოზით საქართველო შედის ტურისტებს შორის პოპულარული რეგიონების რიცხვში.

ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთი პრიორიტეტული სფერო და შემოსავლების ზრდის წყაროა. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას. იგი მდებარეობს ევროპისა და აზიის შესაყარზე და ოდითგან იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციების ერთმანეთთან

დამაკავშირებელი. შავიზღვისპირა მდებარეობა კი მას დიდ უპირატესობას ანიჭებს სამხრეთ კავკასიის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით (http://ninochanchaleishvili.blogspot.com).

ბოლო წლებში საქართველოში დაიწყო ტურიზმის ახალი სახეობების ხელშეწყობა, რასაც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიიული- ბუნებრივი პირობები და ისტორიულ-კულტურული ტრადიციები.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

1971 წლიდან იუნესკოს დამუშავებული აქვს პროგრამა ,,ადამიანი და ბიოსფერო", რომლის მიხედვით, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ ძეგლებს ენიჭება ,,მსოფლიო მნიშვნელობის საგანძურის" სტატუსი. იუნესკოს ფონდშია მოხვედრილი ისეთი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები, როგორიცაა: ქ. მცხეთა, ბაგრატისა და გელათის ტაძრები. ამან ხელი შეუწყო საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითრებას.

ამჟამად საქართველოში **კულტურულ ტურიზმს** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აქ მატერიალური კულტურის 1 200-ზე მეტი ძეგლია. იმისათვის, რომ ტურიზმმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწიოს და მოიტანოს ეკონომიკური მოგება, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ამ ძეგლების მოვლა-პატრონობაზე, რათა ისინი სრულმნიშვნერლოვანი სახით წარსდგნენ დამთვალიერებელთა წინაშე. ეს ძეგლები შეადგენენ კულტურული ტურიზმის საფუძველს და სახელმწიფოს ზრუნვის საგანი უნდა იყოს მათ გარშემო შესაბამისი ინფრასწტრუქტურის შექმნა და მოწესრიგება. ტურისტულ ატრაქციებს შორის უმთავრესი ადგილი უჭირავს იმ ძეგლებს, რომლებიც იუნესკოს მიერაა აღიარებული (კვარაცხელია ნ., 2009:64).

ვითარდება ტურიზმის სხვა ინოვაციური სახეებიც. კერძოდ:

გასტრონომიული ანუ კულინარიული ტურიზმი ახალი სახეობაა და მისით დაინტერესებული არიან ის ადამიანები, რომლებიც, ასე ვთქვათ, ცხრა მთას იქითაც კი მიდიან თავიანთი გასტრონომიული ინტერესების გასაფართოვებლად. ეს ადამიანები ჭამის მოყვარულები არ არიან, საუბარია გურმანებზე, ისტორიის მკვლევარებზე, ანთროპოლოგებზე და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებზე (http://culinartmagazine.com/2016/05/03/).

გასტრონომიული ტურიზმით გატაცებული ტურისტები ხშირად ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც მხოლოდ გასტრონომიული კუთხით ქვეყნის გასაცნობად მოგზაურობენ. ამიტომაც გასათვალისწინებელია, რომ ყველა ტურისტი არ მიდის მუზეუმებში და გამოფენებზე, მაგრამ ყველა ტურისტი აგემოვნებს ქვეყნის ნაციონალურ კერძებს, რადგან აინტერესებს ამა თუ იმ ქვეყნის ეთნოკულტურა.

გასტრონომიული ტურიზმის ბუმიც XXI საუკუნეში დადგა. გარდა ადგილობრივი გასტრონომიული კულტურის შეცნობისა, გასტრონომიული ტურიზმი ინტერესდება ადგილობრივი კერძების ავთენტური გემოს შექმნის ტექნოლოგიური პროცესების ადგილზე გაცნობად და კერძების მომზადებაში მონაწილეობის მისაღებად.. სწორედ ამისთვისაც იხდის ის დიდ ფულს. ტურისტი აცნობიერებს, თუ რა რადიკალური განსხვავება და რა საერთოა იმ ქვეყნის, თუ რეგიონის წარმომადგენლებს და მას შორის.

აჭარაში გასტრონომიული ტურიზმის განსავითარებლად იმართება ფესტივალები როგორც ღვინის, ასევე კერძების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ა.შ. ადგილობრივად ფესტივალებში მონაწილეობა და ტრადიციის თუ კულტურის ნაწილად ქცევისპ როცესი, კიდევ უფრო შომბეჭდავს ხდის ტურისტის შთაბეჭდილებებს.

აგროტურიზმი - ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთი სექტორია. იგი ორიენტირებულია შექმნას ტურიზმის პროდუქტი სასოფლო ადგილებში, ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სხვა რესურსების გამოყენებით.

აგროტურიზმის განვითრებასთან დაკავშირებით აჭარაში გაიმართა რამდენიმე კონფერენცია და გამოფენა. მაგალითად: ბათუმის აგრო-სასურსათო პროდუქციისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენა; სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია და სხვა. .

ეკოტურიზმი - ველურ ბუნებასთან ურთიერთობაა. ტურიზმის ეს სახეობა ხელს უწყობს ბუნების მოვლას და ასევე, ძალიან მომგებიანია დაცული ტერიტორიებისა და რეგიონების მოსახლეობის ეკონომიკური შემოსავლების ზრდისთვის.

ეკო ტურიზმი ქვეყანაში მდგრადი ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს. ის გულისხმობს ტურისტებისა და ვიზიტორების მიერ ბუნებრივი ლანდშაფტების დათვალიერებას, მიახლოებითი გამოანგარიშებით საერთაშორისოტურიზმის

დაახლოებით 15-20% ეკოტურიზმს განეკუთვნება.

ეკოტურიზმისა და ბუნებრივი მრავალფეროვნების დაცვაზე დაფუძნებული სხვა ტურისტული საქმიანობების ზრდის ტემპიც ყველაზე მაღალი უნდა იყოს ყველა სხვა ტურისტულ სეგმენტებთან შედარებით.

ეკოტურიზმს ოთხი მთავარი ქვაკუთხედი გააჩნია:

- განვითარების მდგრადობა;
- ეკონომიკური სარგებლიანობა ადგილობრივი თემებისათვის;
- ადგილობრივი კულტურის ინტეგრაცია;
- საგანმანათლებლოკომპონენტი.

საქართველოში ეკოტურისტებს შესაძლებლობა აქვთ დატკბნენ არა მხოლოდ ულამაზესი ბუნებით და ლანშაფტებით, არამედ 35 ათასი ისტორიული ძეგლით, რომელთაგან 5 ათასს სახელმწიფო იცავს. 1994 წლიდან ოთხი მათგანი იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა დაცვის სიაში შევიდა: 1. საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა, როგორც ქალაქი – მუზეუმი, 2. გელათის სამონასტრო კომპლექსი (XI ს.), 3. ბაგრატის ტაძარი ქუთაისში (XI ს.) და 4. უშგულის არქიტექტორული ანსამბლი.

ეკოტურიზმით დაინტერესებულ ტურისტებს აჭარა სთავაზობს ულამაზეს ბუნებას, მთებს, ჩანჩქერებს, ლაშქრობებს, თევზაობას მთის მდინარეებში, ნადირობას და ა.შ.

სათამაშო ტურიზმი - დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოს ქალაქებში, მათ შორის, ბათუმში. აზარტის მოყვარულ ტურისტებს ბათუმი სთავაზობს კაზინოების ფართო არჩევანს. საქართველოს კანონმდებლობით სათამაშო ბიზნესის წარმოება აკრძალული არ არის. ტურიზმის ამ სახეობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო ბათუმში გამართული ,,კაზინოს ინვესტოირთა“ კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 120 სხვადასხვა სფეროს (ტურიზმის, სათამაშო ბიზნესის და სხვ.) წარმომადგენელი მსოფლიოს 25 ქვეყნიდან (http://adjara.gov.ge).

საქართველოში სათამაშო ბიზნესისთვის შერჩეულია ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები და ასეთი სასტუმროების მშენებლობა კვლავ გრძელდება, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ უახლოეს წლებში სათამაშო ტურიზმი კიდევ უფრო განვითარდება.

საქმიანი ტურიზმი - გულისხმობს სხვადასხვა სახის გამოფენებისა და კონფერენციების ჩატარებას. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, სატრანზიტო ფუნქცია ევროპასა და აზიასშორის, უნიკალური შანსია ქვეყანაში MICE ინდუსტრიის - საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესებისა და საქმიანი შეხვედრების განვითარებისათვის. უნიკალური კლიმატი, ულამაზესი ბუნება, მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა საშუალებას იძლევა საქმიანი მოგზაურობებისას ბიზნესისა და დასვენების შერწყმისათვის.

საქართველოში MICE ტურიზმის განვითარების წარმატებული მაგალითებია:

- Buying Business Travel Awards 2016 - საქართველო საუკეთესო საქმიანი ტურიზმის (MICE) დანიშნულების ადგილად დასახელდა.
- Caucasus Tourism Fair - საერთაშორისო ტურისტული გამოფენა და ტურისტული ფასდაკლებების ფესტივალი
- საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი (IBF Batumi)
- 2017 წელს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ესპანეთში (**ბარსელონა**), საქმიანი ტურიზმის გამოფენა **IBTMWorld**-ში მიიღო მონაწილეობა.
- IBTM World ერთ-ერთი უმსხვილესი საქმიანი ტურიზმის გამოფენაა, რომელიც ბარსელონაში ყოველწლიურად იმართება.
- ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ 2017 წელს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, საერთაშორისო გამოფენაში**IBTM Arabia** მიიღო მონაწილეობა.

მრავალრიცხოვანი საერთაშორისო და მაღალი დონის ღონისძიებებით ჩვენმა ქვეყანამ ტურიზმის ტრანსლაციურ ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილი მოიპოვა. აქ ოპერირებენ ისეთი მაღალი დონის შეხვედრებს, კონფერენციებს, გამოფენებს, როგორიცაა:

- ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენა;
- აგრო-სასურსათო პროდუქციის და ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენა;
- საერთაშორისო სამშენებლო და დიზაინის გამოფენა;
- სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია და სხვა.

სამთო-სათხილამურო ტურიზმი ძალიან პოპულარულია ტურიზმის ინდუსტრიაში. საქართველოს ამ მიმართებით დიდი პოოტენციალი აქვს. ცნობილია რამდენიმე სამთო-სათხილამურო კურორტი: ბაკურიანი და გუდაური. მაღალმთიანი აჭარაც სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულებს სთავაზობს დიდ არჩევანს. ძნელად თუ მოიძებნება სხვა რომელიმე ქვეყანა,რომელსაც გააჩნდეს მსოფლიოში ცნობილი ყველა ტიპის სამკურნალო ფაქტორები:

ზღვისპირეთისა და ზღვის კლიმატი, 2400-მდე მინერალური წყარო, სამკურნალო ტალახები, სამკურნალო მღვიმეები დასხვა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2018 წელს საქართველოში შემოვიდა 4 756 820 ტურისტი, რაც 687 466-ით მეტია წინა წელთან შედარებით (https://on.ge/story/).

ასევე, 2018 წლის მონაცემებით საქართველოში მთის კურორტებზე ვიზიტორების რაოდენობა 25%-ით გაიზარდა წინა წლებთან შედარებით. სულ სამთო კურორტებზე ტურისტთა რაოდენობა იყო 514 874, ((https://reginfo.ge/economic /tem/6574). ზამთრის მთის კურორტებზე ტურისტთა ვიზიტის 2018 წლის სტატისტიკა ასეთია:

- კურორტ გუდაურში დაფიქსირდა 345 997 ვიზიტორი, რაც წინა წლებთან შედარებით 25%-ით მეტია;
- ბაკურიანში 15%-იანი ზრდაა. კურორტს ეწვია 132 704 ტურისტი;
- მაღალმთიან აჭარაში კიურორტ გოდერძის 10 283 ვიზიტორი ეწვია, წინა ორ წელთნ შედარებით 129%-ით მეტი;
- სვანეთში, კურორტ თეთნულდზე ვიზიტორთა რაოდენობა 122%-ით გაიზარდა; ჰანვალზე კი 119%-ით მეტი. სულ თათნულდსა და ჰაწვალს 35 890 ვიზიტორი ეწვია.

საქართველოში ბოლო დროს ვითარდება ტურიზმის ინოვაციური სახეობა **რაფტინგი**- იგივე ჯომარდობა, მდინარე ზენავითან სპეციალური ტივით დაშვება. რომელიც ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პოპულარული სპორტია. კარგი პერსპექტივები აქვს იმ რაიონში, სადაც ტურისტებისათვის საინტერესო ადგილებია მდინარის ნაპირებზე, არხებსა და ტბებზე, ასევე ზღვისა და ოკეანის სანაპირო ზონებსა და კუნძულებზე, რადგანაც ტურისტების განთავსება და სხვა მომსახურება ხდება გემბანზე, ამიტომ დიდ სახმელეთო ტურისტულ ინფრასტრუქტურას არ საჭიროებს. მაგრამ ამასთან აუცილებელია ნავსაყუდელი დიდი საკრუიზო გემებისათვის და ეფექტური სახმელეთო-საექსკურსიო მომსახურება.

ტურიზმი კენპინგებსა და კარვებში - დიდი პოპულარობით სარგებლობს და შეიძლება შემოსავლის წყარო გახდეს ადგილობრივი მოსახლეობისათვის. კემპინგებისა და კარვებისათვის მოძიებული ე.წ. ველური ადგილები იდეალურად უნდა ერწყმოდეს გარემოს და უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

ეთნიკური და ნოსტალგიური ტურიზმი - სათაურიდან გასაგებია მოგზაურობის მოტივაცია. ტურიზმის ამ სახეობას დიდი პოტენციალი გააჩნია. ტურისტები, რომლებიც ასეთ მოგზაურობაში მიდიან, როგორც წესი, სარგებლობენ ტრადიციული ტურისტული ობიექტებითა და მომსახურებით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება სპეციალური გიდების სამსახურების შექმნა, ასევე ახალი მარშრუტების დამუშავება.

ნადირობა და თევზაობა – ნადირობა, გარეული ნადირისა და ფრინველის მოპოვებაა. ადამიანის საწარმოო მოღვაწეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. თავდაპირველად (პალეოლითისეპოქაში) ნადირობა კოლექტიურ ხასიათს ატარებდა და ნანადირევსაც კოლექტიურად იყენებდნენ. იგი შეხამებული იყო მეთევზეობასთან, მიწათმოქმედებასთან, მეცხოველეობასთან და სხვა დარგებთან.

სამთოტურიზმი - ქვეითი ტურიზმის ერთ-ერთი სახეა. მთები ბევრად უფრო რთულ მარშუტს სთავაზობს ტურისტს. მთაში მოგზაურობისას საჭიროა უფრო დეტალური რუკა. აუცილებელია ყურადღება მიექცეს შესაბამისი ტანსაცმლის შერჩევას, ტურისტის ფიზიკურ მომზადებას და მთაში გადაადგილების წესს- ჩვევების გათვალისწინებას. ცალკეულ მწვერვალებზე, თუნდაც მთის კალთებზე ასვლისას აუცილებელია, რომ ტურისტს ჰქონდეს ინფორმაცია სამაშველო სამსახურების ან მოხალისე მაშველების შესახებ. სასურველია იყოს რეგიონში არსებული მწვერვალების ფოტოები და მარშრუტების დამახასიათებელი ხედები შესაბამისი განმარტებებით.

მნიშვნელოვანია, რომ ბილიკზე მოძრაობისას შემუშავებული იყოს სამაშველო შეტყობინებების გადაცემის მექანიზმი (მობილურიკავშირი, რადიოკავშირი,

კოორდინატებიდაა.შ.). წინასწარ მოფიქრებული უნდა იყოს ევაკუაციის საშუალებების გამოყენება და დაზღვევა.

ველოტურები-უკანასკნელ პერიოდში პოპულარობით სარგებლობს. ველოტურების მოყვარული ქირაობს ველოსიპედს (ანსაკუთარიაქვს) და სარგებლობს ტურისტულ მეურნეობებთან არსებული (მარკირებული) საველოსიპედო მარშრუტებით. ტურისტულ რუკაზე ველო მარშრუტები დატანილია თავისი აღნიშვნებით და დეტალური ინფორმაციით (მაგ., მარშრუტის საფარის ხარისხი, დახრილობა, აღმართისა თუ დაღმართის სიგრძე და ა.

შ). ტურისტული ღირსშესანიშნაობების, ტურისტული რესურსების დაკვების ობიექტების ჩათვლით.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ველოსიპედების სერვისის პუნქტის აღნიშვნაც. ველოსიპედის დაქირავებისა და ჩაბარებისას აუცილებელია მისი შემოწმება (მუხრუჭი, ფარი დასხვ.) ველოსიპედი შესაძლოა იყოს აღჭურვილი საბარგულით, ხოლო ტურისტები შესაბამისი ტანსაცმლით (აუცილებელია ჩაფხუტის, ქამრისა და შუქის ამრეკლის გამოყენება). სამთო ველოსიპედისათვის უმთავრესი მოთხოვნაა მისი უსაფრთხოება და გამართული მდგომარეობა. ყოველი გაქირავების წინ ველოსიპედი გულდასმით უნდა შემოწმდეს

საცხენოსნო ტურიზმი-სოფლის გარემოში აქტიური დასვენების კიდევ ერთი პოპულარული სახეობაა. შესაძლებელია მასპინძელმა ტურისტს შესთავაზოს ცხენზე ჯდომის სწავლება, ცხენით გასეირნება ან ტურისტული საცხენონოსნო

მარშრუტების გავლა. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ტურიზმის სწრაფ განვითარებასა და უცხოელ ტურისტთა მასიურ მოზიდვას ხელს უწყობს ჩვენი უნიკალური ფლორა, ადვილად მისაწვდომ სივრცეზე მდებარე სუბტროპიკული და ალპური ზონები, ანკარა მდინარეები, წლის ერთსა და იმავე დროს მწვანე და თოვლიანი მთები.

„საქართველოს ყველა პირობა აქვს იმისა, რომ იყოს მსოფლიოში გამორჩეული ტურისტული ქვეყანა, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა სახის ტურისტული მოთხოვნილება. ამ პირობათაგან გამოსარჩევია ის, რომ

საქართველო არის უძველესი ქვეყანა, აქვს თვალწარმტაცი ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტით, მუდმივი თოვლითა და მყინვარებით დაფარული კავკასიონის ქედი, ზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონა, წყალუხვი მდინარეები და ჩანჩქერები, კურორტები, მინერალური წყაროები, უამრავი ისტორიის, კულტურისა და ბუნების უნიკალური ძეგლი“ (მამულაძე ვ., 2008 :151)

ამრიგად, საერთაშორისო ტურიზმის მოთხოვნების შესაბამისად მუშაობა უნდა გააქტიურდეს ჩვენი ქვეყნის ცალკეული რეგიონების განვითარების ტურიზმის პერსპექტივებზე საქართველოში, რომელიც თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობითა და არსებული ბუნებრივი, ისტორიული თუ კულტურული რესურსებით ტურიზმის განვითარებისათვის საუკეთესო რესურსის მქონეა. „ევრაზიის ხიდისა“ და „აბრეშუმის დიდი გზის“ სივრცე ტურიზმის განვითარების ბრწყინვალე პერსპექტივას სახავს.

თავი III. ტურიზმის მდგრადი განვითარების პირობები და სტრატეგიები საქართველოში

3.1. ტურიზმის მდგრადი განვითარების პოტენციალი საქართველოში

ტურიზმის მდგრადი განვითარება ბევრი ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებაა. სახელმწიფო აღიარებს ტურიზმს, როგორც მნიშვნელოვან დარგს და ხელს უწყობს მის განვითარებას, ქმნის სასურველ გარემოს ტურიზმის ფუნქციონირებისათვის, განსაზღვრავს დარგში პრიორიტეტულ მიმართულებებს, საერთაშორისო დონეზე რეკლამას უწევს ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს და ქმნის ტურისტული საქმიანობისთვის სასურველ იმიჯს (კოჭლამაზაშვილი, 2004: 13).

ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი დარგია და მსოფლიოს მთლიანი პროდუქტის 10% -ს აწარმოებს. ტურიზმის მდგრადი განვითარება გულისხმობს თანამედროვე ინსტიტუციური გარემოს ფორმირებას ბუნებრივი, კულტურული და სხვა რესურსების შენარჩუნებით მათ მუდმივ გამოყენებას მომავალში, ამასთან, საზოგადოებისთვის მოგების მოტანას. ტურიზმის რეგიონალურ დაგეგმარებას მდგრადი განვითარების პოზიციიდან გააჩნია პრიორიტეტული მნიშვნელობა.

საქართველოში ეს დარგი ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა ბუნებრივი რესურსები, რითაც საქართველო მდიდარია და ამიტომ ტურისტებისთვის მიმზიდველ ქვეყანადაა მიჩნეული.

საქართველოს ბუნებრივი ტურისტული რესურსები მოიცავს: კლიმატურ, ბალნეოლოგიურ, ზღვის, თოვლ-მყინვარის, შიდა წყლების და ბუნების სხვა კომპონენტებს (მეტრეველი მ., გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, თბ., 2012:26).

საქართველოში ტურიზმის განვითარება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო, მაგრამ მასშტაბური ხასიათი მიიღო XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები და სასტუმროები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ვარძიაში. ტურიზმის აღმშენებლობის პროცესი დაიწყო გაგრაში, ქობულეთში, აბასთუმანში, წყალტუბოსა და სხვა (შუბლაძე ვ., ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განვითრებული ქვეყნების ეკონომიკაში, ჟურნ. ,,ფინანსები“, 2004:37).

თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად საქართველოში ტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალის არსებობისა, ეს დარგი აქ ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად განვითარებული და მისი წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში ჯერ კიდევ მცირეა, თუმცა აღსანიშნავია ყოველწლიური ზრდის ტენდენცია.

წინგადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, საჭიროა კიდევ უფრო მეტი ინფრასტრუქტურა; მასობრივად მოწესრიგდეს შიდასაკომუნიკაციო სისტემები; დაიგეგმოს ხელმისაწვდომი, ეფექტიანი ტურები, რაც ქვეყანას მოუტანს დიდ ეკონომიკურ სარგებელს.



ტურიზმის განვითარებისთვის საქართველოს უხვად აქვს მთავარი თვისებები - სტუმართმოყვარეობა, სანახაობები, ბუნებრივი რესურსები, აქედან გამომდინარე, მას აქვს უნარი და შესაძლებლობები, გადაიქცეს ტურისტულ ცენტრად.

საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებლად უნდა დაიგეგმოს უფრო ეფექტური მიზნები და ამოცანები.

აღსანიშნავია, რომ დღეს არსებული მონაცემთა ბაზები და ტურიზმის განვითარების არასრულყოფილი სტრატეგიული გეგმის არსებობა, სწრაფ მოგებაზე ორიენტირებული გარემოს არადამზოგავი ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოების ზომების უგულებელყოფა, პროფესიული სერვისების დონის გაზრდის საჭიროება ვერ პასუხობს მდგრადი განვითარების მიზნებს. შესაბამისად კი საჭიროა ახალი მეთოდების შემუშავება, ახლებური აქტივობების დაგეგმვა, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციური მიდგომების შემუშავებას და აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად ეფექტური გზების მოძებნას (http://www.researchgate.net).

2012 წლის იანვარში გაეროს კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა მდგრადი განვითარების საკითხებს, სახელმწიფოთა ლიდერები შეთანხმდნენ, რომ ტურიზმის სფეროში ზედმიწევნით დაგეგმილ და დარეგულირებულ საქმიანობას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითრების სამივე კომპონენტის (ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური) გაუმჯობესებაში, რადგან იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა სექტორებთან და შეუძლია უზრუნველყოს სამუშაო ადგილების შექმნა, გააფართოოს შესაძლებლობები ვაჭრობის სფეროში, ქვეყნებისათვის წარმოადგენს უცხოური ვალურტის ძირითად ან ერთ-ერთ შემოსავალს.

ბოლო 50-60 წლის განმავლობაში ტურიზმმა, სხვა სექტორებისაგან განსხვავებით, მუდმივი გაფართოება და დივერსიფიკაცია განიცადა და გადაიქცა მსოფლიოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე დინამიურ და მაღალი ტემპებით განვითარებად ეკონომიკურ დარგად, რის გამოც სპეციალისტების მიერ ის აღიარებულია თანამედროვეობის ეკონომიკურ ფენომენად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 70-ე გენერალურმა ასამბლეამ 2017 წელი ტურიზმის მდგრადი განვითარების საერთაშორისო წლად გამოაცხადა, რითაც, მსოფლიო ლიდერების აღიარებით, მსოფლიოს მდგრად განვითარებაში მან მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა, როგორც ეკონომიკური, სოციალური და

ეკოლოგიური სტრატეგიული მიზნების განხორციელების ერთ-ერთმა ძლიერმა ინსტრუმენტმა. ასევე, დიდია მისი როლი ქვეყნებისა და ხალხებს შორის თანამეგობრობისა თუ სხვადასხვა ცივილიზაციებში ცოდნის განვითარებაში.

2017 წლის სექტემბერში საქართველომ უმასპინძლა ტურიზმის სამეცნიერო და პრაქტიკოსი ექსპერტების ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო ასოციაციის AIEST-ის (დაარსდა 1951 წელს) 67-ე კონფერენციას, რომლის მიზანი იყო მსოფლიოს მდგრადი ტურიზმის ინდუსტრიის გაუმჯობესება ტურიზმის უახლესი ტენდენციებისა და განვითარების ანალიზის საფუძველზე, ამ სფეროში მოსალოდნელი პრობლემების წინასწარ განჭვრეტა და მათი გადაჭრის გზების მოძიება. კონფერენციის მუშაობისას ასევე, განხილული იყო საქართველოში ტურიზმის ბიზნესის მდგრადობა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები, ტურიზმის მდგრადი განვითარების ბიზნესმოდელები (https://commersant.ge/g-e/post).აღსანიშნავია ისიც, რომ ტურიზმის მდგრადი განვითრების სტრატეგიის განხ-ორციელებისთვის აუცილებელია ქვეყანაში დარგის სამართლებრივი რეგულაციები ხორციელდებოდეს ტურიზმისა და კურორტების შესახებ ძირითადი კანონმდებლობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს მაქსიმალურ ლიბერა-ლობასა და დემოკრატიულობას.

ჩემი აზრით, ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით მიღებუ-ლი კანონების, სხვადასხვა ადმინისტრაციული დებულებებისა და ნორმატიული აქტების შესრულება სავალდებულოა ტურისტულ და საკურორტო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა უწყების, ფიზიკური და იურიდიული პირისათვის. სწორედ ასეთი კომპლექსური საქმიანობა გამოიღებს შედეგს ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში.

3.2. ტურიზმის ძირითადი მიმართულებები და არსებული რისკ-ფაქტორები საქართველოში

ტურიზმის მდგრადი განვითრებისთვის აუცილებელია თანაბარზომიერად განვითარდეს მისი ყველა მიმართულება, რადგან მხოლოდ კოორდინირებული მოქმედებებით არის შესაძლებელი ტურისტების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ტურიზმის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებას წარმოადგენს ქვეყნის და რეგიონის მასშტაბით სპეციალური ადგილების და ზონების რუქების შედგენა, რითაც ხდება იმ ადგილების მონიშვნა რომელიც გამიზნულია ტურიზმისათვის. ზონირება რეკომენდირებულია იმისთვის, რომ მოხდეს ბუნებრივი რესურსების დაცვა. ამით მოხდება ტურისტული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება, რათა სარგებელი მიიღონ როგორც ტურისტებმა, ასევე ადგილობრივმა მოსახლეობამ.

ასევე, მნიშვნელოვანი მიმართულებაა მიწის და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება საჯარო და კერძო საჭიროებებისთვის, რითაც შენარჩუნებული იქნება ავთენტური გარემო. აღნიშნული საკითხი ტურიზმის მდგრადი განვითრების ერთ-ერთი პრიორიტეტულიმიმართულებაა.

ჩვენს ქვეყანაში შემოსული ვიზიტორების ზოგადი მიმოხილვითაც ნათელია, რომ საქართველო უკვე მოექცა საერთაშორისო ტურიზმის მზარდი ინტერესების სფეროში, მაგრამ ქვეყანამ რომ მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული რეკრეაციული რესურსები და ტურისტული პოტენციალი, საჭირო იქნება ტურიზმის დარგში არსებული პრობლემების კომპლექსური გადაჭრა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტურიზმის სექტორს სხვადასხვა ძლიერი მხარეები და უდიდესი პოტენციალი აქვს, მისი განვითარებისათვის ჯერ კიდევ ბევრი რეზერვია. ამ ნეგატიური სიტუაციის გამოსწორებისკენ მიმართულია შემუშავებული მსხვილმასშტაბიანი პროექტები, განსაკუთრებული ტურისტულ-რეკრეაციული ტიპის ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება და ტურიზმის განვითარებისთვის რეგიონული მიზნობრივი პროგრამები.

ამასთან, ტურიზმის დაჩქარებული განვითარების ამოცანის გადაწყვეტა გართულებულია ტურიზმის დარგში არსებული კანონმდებლობის არასრულყოფილებით. განსაკუთრებით აქტუალობას იძენს რეგიონების ტურიზმის ინდუსტრიის ჩამოყალიბების საკითხი.

ტურიზმის მდგრადი განვითრება უნდა იყოს ყოველია დამიანის ზრუნვის საგანი, რადგან იგი ერთდროულად არის თანამედროვე საზოგადოებაში ცხოვრების ხარისხის შედეგი და გადამწყვეტი ფაქტორი. ამიტომ პარლამენტებმა და მთავრობებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ტურიზმს საზოგადოების სხვა ძირითადი მოთხოვნილებებისა და საქმიანობის სახეების ჰარმონიულ შესაბამისობაში მისი განვითარების მიზნით (ყორღანაშვილი, 2010:7).

საქართველოში ტურიზმის მდგრადი განვითარების მიზნით, როგორც ტურისტული დანიშნულების ქვეყანაში, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს რეკრეაციული ზონების მოფრთხილება-შენარჩუნებას, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების მოვლა-პატრონობას.

ეს საკითხები გათვალისწინებულია ტურიზმის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში. სწორედ ამ საკითხებზი გვინდა გავამახვილოთ ყურადღება და გავაანალიზოთ ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც ტურიზმის დარგს ახლავს საქართველოში.

ჩვენი ქვეყანა ყველანაირად ცდილობს მოიზიდოს ტურისტები სხვდასხვა ქვეყნიდან. ცდა უშედეგო არაა და უამარავი ტურისტი სტუმრობს საქართველოს და ათვალიერებს ჩვენი ქვეყნის უძველეს კულტურას. მაგრამ სამწუხაროოა, რომ საქართველოში არ ცდილობენ ამ ადგილების ისე გაფრთხილებას, დაცვას როგორც ევროპაში, არადა ეს აუცილებელია. მედალს ორი მხარე აქვს და ტურიზმის უარყოფითი მხარეც უნდა დავინახოთ. ეკონომიკის ზრდის სანაცვლოდ ჩვენ, ჩვენი კულტურის უძველესი ძეგლები საფრთხის წინაშე არ უნდა დავაყენოთ

(http://tourism2m.blogspot.com/2015/06/blog-post.html).

ტურიზმს ახლავს შემდეგი უარყოფითი მხარეები:

■ ჰაერის დაბინძურება, ანუ CO2ემისიები, რაც ხორციელდება თვითმფრი-ნავებიდან და იმ სატრანსპორტო საშუალებებიდან, რომლებიც მასობრივი ტურიზმის ადგილებში გამოიყენება;

■ მყარი ნარჩენები და ჩამდინარე წყლები ტურისტული ადგილების გარშემო. ნარჩენების სუსტმა მართვამ შესაძლოა მასობრივი ტურიზმის თითოეულ ადგილს პრობლემები შეუქმნას იმ დროს, როდესაც ვიზიტორთა რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობისა.სამთო-სათხილამურო კურორტების სასრიალო ბილიკებზე, მდინარეების სანაპიროებზე, ზღვის სანაპიროზე ადამიანები ყრიან პოლიეთილენის პარკებს, საჭმელების ნარჩენებს, პლასტმასის ბოთლებს და ა.შ.

■ იზრდება ძველი სტილის ნაგავსაყრელები, რაც უარყოფით ზემოქმედებას იქონიებს ბუნებაზე და შესაძლოა დაავადებების გავრცელების მიზეზი გახდეს; არასწორი ტექნოლოგიების პირობებში ნარჩენები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას. მთიან სოფლებში კი ადამიანები ნაგავს ყრიან მდინარეებში, რაც იწვევს ეპიდემიური დაავადებების გავრცელების საშიშროებასაც.

■ იზოლაციის არარსებობის გამო, საშიში ნივთიერებები ნიადაგსა და მიწის ქვეშა წყლებში ხვდება, აბინძურებს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს და შედეგად – პროდუქტებს. ტურისტების მიერ მდინარეებთან და ხევებთან ახლოსმ დებარე ადგილების დანაგვიანება ეკოსისტემებს საფრთხეს უქმნის;

■ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა. ითვალისწინებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვას. ტურისტულმა ბიზნესმა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, ეკოსისტემებსა და ლანდშაფტებზე,ჰაერის, მიწისა და წყლის ხარისხზე უარყოფითი გავლენა არ უნდა მოახდინოს..

■ ასევე, ტურიზმს ახლავს ტყის რისკფაქტორებიც, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან ვიზიტორებს დაუბედური შემთხვევების მიზეზიც გახდნენ. მარშრუტზე გადაადგილების დროს ადამიანებმა შეიძლება მსუბუქ იდაზიანებები მიიღონ, შეწუხდნენ მწერებისაგან, გარეულ ცხოველებთან შეხვედრამ შეიძლება

ისინი შეაშინოს ან დააზიანოს, იგივე შეიძლება მოხდეს ცუდი ამინდის შემთხვევაშიც. ვიზიტორებს შეიძლება გზა აებნეთ, მოიწამლონ მცენარეებით, დასხვ. ამიტომ აუცილებელია მობილური სამაშველო ჯგუფების და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურის შექმნა.

- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის, კიდევ არსებობს სხვა პრობლემებიც, მაგალითად, ტურიზმი უარყოფით ზეგავლენას ახდენს აგრეთვე გარემოზე იმითაც, რომ მთებსა და სანაპირო რეგიონში უზარმაზარი სასტუმროების მშენებლობა აზიანებს გარემოს, ხშირ შემთხვევაში ეს უარყოფითად აისახება ადგილობრივ ეკოსისტემაზე. ამიტომ, ჩემი აზრით, გარემოზე ზემოქედების შეფასების გარეშე ასეთი შენობების აგება არ უნდა ხდებოდეს.

ამრიგად, ზემოაღნიშნული რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოშიტურიზმისმდგრადი განვითარების მიმართულებებზე მუშაობის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს ყველადეტალზე, - არის თუ არა ამა თუ იმ სახეობის განვითარებისთვის შესაბამისი რესურსები; არის თუ არა პოტენციური ტურისტული ბაზრები, რომელზეც შესაძლებელია გასვლა; აუცილებელია თუ არა საკმარისი შრომითი რესურსი ტურიზმის დარგისათვის მუშა მიგრანტების შემოყვანის გარეშე; გამართლებულია თუ არა დანახარჯები რეგიონის სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესებისა და ტურიზმის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის; არსებობს თუ არა კონკურენციის შესაძლებლობა მეზობელ რეგიონებთან ან არსებული პოტენციური ტურისტული პროექტირება.

3.3. ტურიზმის მდგრადი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ ტურიზმის მდგრადი განვითარების მიზნით მთიანი რეგიონებისა და სოფლების ხელშეწყობა დაიწყო, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ტურიზმის საშუალებით

საკუთარი საარსებო წყაროს გაუმჯობესებაში დაეხმარება. თუმცა, ხაზგასასმელია ისიც, რომ ტურიზმის განვითარება საქართველოში საკმაოდ ქაოტურად გამოიყურება; ტურიზმის სფეროში პროფესიონალური კადრების ნაკლებობა და გრძელვადიანი დაგეგმვის არარსებობა ანელებს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას.

სტატისტიკური მონაცემებით 2018 წელს საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიამ განაგრძო ზრდა. ამ წელს საერთაშორისო მოგზაურობების მიერ განხორციელდა 777,035-ით მეტი ვიზიტი და მათმა რაოდენობამ პირველად გადააჭარბა რვა მილიონს.



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2018 წელს უცხოური ტურიზმის შემოსავალი საქართველოში შეადგენდა 3,22 მილიარდ დოლარს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული განთავსების საშუალებების რაოდენობამ 2,390 შეადგინა. აჭარის რეგიონი ლიდერია - 26 019 საწოლი ადგილით, მას მოსდევს თბილისი - 21 144 რაოდენობით (საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2018:20-26).



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შესაბამისად იზრდება საერთაშორისო ბრენდის სასტუმროების რაოდენობა, განსაკუთრებით რეგიონებში. 2018 წელს საქართველოში ექვსმა ახალმა საერთაშორისო ბრენდის სასტუმრომ დაიწყო ფუნქციონირება, აქედან სამი გაიხსნა რეგიონში: შეკვეთილში გაიხსნა პრემიუმ კლასის საერთაშორისო სასტუმრო Paragraph Resorts & Spa Shekvetili, Autograph Collection, ხოლო Best Western საერთაშორისო ბრენდების სასტუმროებმა ფუნქციონირება დაიწყეს ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში.

ქვეყანაში საზღვაო სანაპიროების არსებობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ტურისტული რეგიონების განვითარებას. კომფორტული კლიმატის პირობებში საზღვაო კურორტები უზრუნველყოფს საკრუიზო მოგზაურობების ჩატარების შესაძლებლობებს.

მდინარეები და ტბები, ასევე, მნიშვნელოვან ტურისტულ რესურსებად შეიძლება იქნას განხილული. ისინი ამდიდრებენ ქვეყნის, რეგიონის ლანდშაფტს, ქმნიან ხელსაყრელ მიკროკლიმატს, ტურისტებს საშუალებას აძლევენ დაისვენონ წყლებზე, დაკავდნენ წყლის სპორტის სახეობებით. დღესდღეობით ტბისპირა კურორტები და

დასვენების ზონები ტურიზმის საკმაოდ პოპულარულ ცენტრებს წარმოადგენენ (ბერიძე თ., 2016:77).

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობს ისეთი ადგილები, რომლებიც 4 - სეზონიანი კურორტებია და სადაც თავისუფლად განვითარდება სპორტული ტურიზმი. მაგ: ერთ- ერთი ასეთი ადგილია აჭარის და გურიის რეგიონი. ორივე მხარეში ზამთარი რბილია. აღნიშნულ რეგიონებში არსებობს საწყალოსნო ტურიზმის განვითარების პოტენციალი. ასევე საკმაოდ პერსპექტიულია ამ მხვრივ საქართველოში არსებული ტბები (რაჯებაშვილი გ. 2012:61).

ყველა ტბაზე შეიძლება გაკეთდეს ნავებით და იახტებით გასეირნების სერვისები. ამას საჭიროებს სწორი დაგეგმვა, სადაც ზოგადი ტურიზმი ნაკლებად მიმზიდველია, სწორედ იქ უნდა განვითარდეს აქტიური დასვენებისა და ექსტრემალური ტურიზმის სახეობები. ტურიზმის და ივენთების გავლენა დიდია რეგიონის ეკონომიკაზე და ტერიტორიულ მარკეტინგის მთავარი მიზანია საერთაშორისო არენაზე საქართველოს მიმზიდველ ტურისტულ და კულტურულ ქვეყნად წარმოჩენა.

ექსტრემალური ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სამი ძირითადი ასპექტი:

- **ბუნებრივი პირობები**- ჩვენს რეგიონში არის სინთეზი ზღვის და მთის ჰაერის.ეს სპორტული აქტივობების სრულყოფილად ჩატარების საშუალებას იძლევა: მთა - გორიანი რეგიონები არის მიმზიდველი ლოკაცია ჰაიკინგის და კემპინგის მოყვარულთათვის;
- **სერვისი**- სპეციფიკური და გამართული მომსახურების მიწოდება არის ის გამოწვევა, რომელზეც საქართველოს ხელისუფლებას მართებს დაუღალავი შრომა.

ასეთი სახის ტურიზმიდან დიდი და მცირექალაქების, სოფლების მოსახლეობამ შემოსავალი შეიძლება მიიღოს მომარაგების ორგანიზაციით, საცალო ვაჭრობით, გადასახადებისაგან განთავისუფლებული საქონლითა და ხალხური რეწვის ნიმუშებით, რესტორნებითა და ადგილობრივი საექსკურსიო მომსახურებით, ასეთი

ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს აუთვისებელ, ძნელად მისადგომ რაიონებს დამატებითი შემოსავლებით და სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფაში.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები აჭარის რეგიონში. აჭარა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილია, რომელიც 2.5 მილიონ სტუმარზე მეტს იღებს დასვენებისა თუ მოგზაურობის მიზნით და ამით, დიდი წვლილი შეაქვს რეგიონალური ეკონომიკის განვითარების საქმეში. სტუმრები დასასვენებლად ძირითადად სტუმრობენ ზღვის სანაპიროს.

აჭარის რეგიონში ტურიზმის შემდეგი სახეობებს აქვს განვითარების პერსპექტივები: ეკოტურიზმი, სამთო-სათხილამურო, ღვინის ტურიზმი, აგრო-ტურიზმი, ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმი, სამონადირეო და სათევზაო ტურიზმი, სათამაშო ტურიზმი, MIKE ტურიზმი, საზღვაო ტურიზმი, ვითარდება საკრუიზო ტურიზმიც (http://tourism-georgia.blogspot.com/).

აჭარის მაღალმთიან რეგიონში ბოლო წლებში აქტიურად დაიწყო სამთო კურორტების მოწესრიგება და გაშენება. აქ არის როგორც სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, რეკრეაციული, ასევე, გასართობი დანიშნულების კურორტები, გათვალისწინებული წლის ოთხივე სეზონისთვის (http://sites.google.com).

აჭარის მაღალმთიანეთი მასპინძლობს ეკოტურიზმით დაინტერესებულ ტურისტებსაც - მტირალას მთის ეროვნული პარკი, კინტრიშის დაცული ტერიტორიები, ქობულეთის ნაკრძალი, მაჭახელას ნაკრძალი.

კულტურული ტურიზმის მოყვარულთ აჭარის მაღალმთიანეთში შეიძლება შევთვაზოთ მაჭახლის ისტორიული ხეობა, სხალთა-ხიხანის ისტორიული და ულამაზესი ადგილები.

სოფლის ტურიზმით დაინტერესებულებს აჭარის მთაში მოხიბლავთ სოფლები ნიგაზეული, გაბრონეთი, ვაიო, დანდალო და სხვა, სადაც გარდა სტუმარმასპინძლობის უძველესი ტრადიციებისა, სუფთა ჰაერისა და სილამაზისა, ტურისტები გაეცნობიან აჭარაში განვითარებულ ღვინის ტრადიციებსაც. დასავლეთ საქართველოს რეგიონებიდან აჭარა წარმოადგენს მეღვინეობა-მევენახეობის

უძველეს კერას და აქ განვითრებული ღვინის ტურიზმი სტუმრებს სთვაზობს, დააგემოვნონ აქაური ყურძნის იშვიათი ჯიშებით დაყენებული ღვინოები.

სათავგადასავლო ტურიზმის მოყვარულ ადამიანებს აჭარის მაღალმთიან ზოლში დააინტერესებთ ჩირუხის, ხიხანის, გოდერძის მიმართულებები. ამ ადგილებში ხანმოკლე, 2-3-დღიანი ვიზიტებით ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ მრავალგვარი სასიამოვნო შთაბეჭდილება.

ხულოდან გოდერძის კურორტამდე გზაზე ობიექტების განვითარებისთვის (დაახლოებით 25 კმ). თოვლის გათვალისწინებით ზამთრის სეზონზე, ფართო ფერდობები, შერეული ტყე, ალპური მდელოები და სათხილამურო ტურიზმისა და გაუკვალავ ტრასებზე სრიალისთვის შეუზღუდავი შესაძლებლობები განაპირობებს აღნიშნული ადგილის პოპულარობას, მათთვის, ვისაც ზამთრის შვებულება და დროის გატარება მოშორებულ რაიონებში სურთ.

აჭარის მაღალმთიანეთში ძალიან პერსპექტიულია სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარება. ტურიზმის ამ სახეობისთვის რეგიონში სამი ზონაა: გომარდული (1250 მ ზღვის დონიდან), ქედლები (1500 მ ზღვის დონიდან) და გოდერძი (http://adjara.gov.ge/branches/)..

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აჭარის რეგიონში ტურისტების მოზიდვის მიზნით აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას, მათგან უმთავრესია რეკლამა. ესაონლაინ რეკლამა, გარე რეკლამა, საბორტო/სამოგზაურო ჟურნალებში სარეკლამო სტატიების განთავსება და სატელივიზიო რეკლამა.

2019 წელს რეკლამირება განსაკუთრებით აქტიურად წარიმართა და რეგიონის საიმიჯო ვიდეო რგოლები ტრიალებდა საერთაშორისო მედიაკომპანიების ეთერით 195 ქვეყანაში (http://batumelebi.netgazeti.ge/nevs/147990).

საქართველოს მთავრობისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის აქტიური მუშაობის შედეგად ბევრი წინსვლა შეინიშნება. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს მასშტაბით განხორციელდა ინტენსიური ტრენინგები ტურიზმის

სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის. 2018 წელს გადამზადების კურსები გაიარა 1 300-მდე ადამიანმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ასევე, განხორციელდა სასწავლო კურსები შემდეგ თემატიკებზე: გიდის უნარ-ჩვევები, მარკეტინგი და გაყიდვების მხარდაჭერა, ჰიგიენა და უსაფრთხოება, ღვინო და კულინარია, საოჯახო სასტუმროს მართვა, შშმპ მომსახურების უნარ-ჩვევები, პირველადი სამედიცინო დახმარება, საბაზისო ინგლისური ენის კურსები, მართვის უნარჩვევები მენეჯერებისთვის.

ამრიგად, მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრიის მდგრადი განვითრებისთვის მიღებულ კონვენციაში მდგრადი ტურიზმის როლი ნიშნავს:

- მდგრადი ტურიზმის განვითარებას, რომელიც თანხვედრაშია თანამედროვე ტურისტის მოთხოვნებთან მასპინძლობის ქვეყანაში და რეგიონებში;
- მდგრადი ტურიზმი იცავს და აძლიერებს მომავლის შესაძლებლობებს;
- მდგრადი ტურიზმი მართავს ყველა ტურისტულ რესურსს და ამ გზით აკმაყოფილებს ეკონომიკურ, სოციალურ, ესთეტიკურ მოთხოვნილებებს;
- მდგრადი ტურიზმი მხარს უჭერს კულტურათა ინტეგრაციას, მნიშვნელოვან ეკოლოგიურ პროცესებს, ბიომრავალფეროვნების მოვლა-შენარჩუნებას და ცხოვრების მხარდაჭერის სისტემებს.
- მდგრადი ტურიზმის განვითარებით იზღუდება გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა;
- მდგრადი ტურიზმი ზრდის ტურისტის კმაყოფილების ხარისხსა და დონეს.

უკვე შემუშავებულია ,,საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, რომელიც გათვლილია გრძელვადიან პერსპექტივებზე და ითვალისწინებს შემდეგ გეგმებს:

1. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა არსებული დონიდან 6, 6 მილიარდ აშშ დოლარამდე;
2. დარგის მიერ მთლიან შიდა პროდუქტში შეტანილი პირდაპ;ირი წილი უნდა შეადგენდეს 7,9%-ს;
3. ყოველი ვიზიტორის მიერ დახარჯული თანხის გაზრდა არსებულიდან 600 აშშ დოლარამდე;

4. ტურიზმში დასაქმებული პირების რაოდენობის გაზრდა დაახლოებით 90%-ით;
5. ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა 7 დღემდე;
6. ტურიზმის სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 63%-ით გაზრდა;
7. დასავლეთ ევროპის, აზიისა და ჩრდილოთ ამერიკის მაღალ გადახდისუნარიანი ბაზრებიდან ვიზიტორთა რაოდენობის გაორმაგება (საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თბილისი).

ცნობილია, რომ მდგრადი ტურიზმის ამ ძირითადად პრინციპს ეფუძნება. პირველია ხარისხი; მდგრადი ტურიზმი ვიზიტორებისთვის ხარისხიან გამოცდილებას უნდა უზრუნველყოფდეს, მასპინძელი საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასთან და გარემოს ხარისხის დაცვასთან ერთად.

მეორე ძირითადი პრინციპია უწყვეტობა. მდგრადი ტურიზმი იმ რესურსების უწყვეტობას ითხოვს, რომელსაც ტურიზმი ეფუძნება; ასევე მასპინძელი საზოგადოების კულტურის უწყვეტობას და ვიზიტორთა მხარ დაჭერის ან ტურისტების მოთხოვნების უწყვეტობას.

დაბოლოს, მდგრადი ტურიზმი ბალანსსაცგ ულისხმობს. სწორედ ტურიზმი აბალანსებს მასპინძლის, სტუმრის და მიმღები გარემოს საჭიროებებს.

ტურიზმის სფეროს წარმატებული განვითარება საჭიროებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ჩართულობას, მათ შორის, საიმიგრაციო, განათლების, ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებისა და სხვა უწყებების კოორდინაციას. ეს ხელს შეუწყობს სფეროს მდგრად განვითარებას.

საქართველოს ტურიზმის განვითარებისა და მარკეტინგის სტრატეგია უნდა იყოს ორიენტირებული ისეთი მიზნობრივი ბაზრების დაინტერესება

სა და მომსახურებაზე, რომლებიც ჩადებული ინვესტიციიდან ყველაზე მეტ ამონაღებს მოიტანენ. განვითარების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს „ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების“ „გეოტურიზმის“ კონცეფცია. „გეოტურიზმი“

მოგზაურობის სახეობაა, რომელიც ორიენტირებულია დანიშნულების ადგილის გეოგრაფიული თავისებურების შენარჩუნებასა და დაცვაზე, მათშორის, გარემოს, ესთეტიკის, კულტურული მემკვიდრეობისა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ხელშეწყობაზე (http://iliauni-1-3-magda-khutsishvili.blogspot.com/).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დავასკვნით, რომ ტურიზმი, როგორც დარგთაშორისი კომპლექსი, აუმჯობესებს ადამიანთა ცხოვრების დონეს, ამიტომ ყველა ტურისტულმა ქვეყანამ, მათ შორის, საქართველომაც უნდა იზრუნონ ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის.

3.4. კვლევა

დღეს დღეისობით, რომ გავიგოთ თუ როგორია საზოგადოების აზრი ტურიზმთან და საქართველოში მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციებთან დაკავშირებით, გადავწყვიტე გამეკეთებია კვლევა და გამეგო რამდენად არის საქართველოში ტურიზმის თანამედროვე ტენდენციები პერსპექტიული. კვლევა მიმდინარეობდა ონლაინ გამოკითხვით სადაც მონაწილეობა მიიღო 106 სუბიექტმა.

(https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSdheQlCDgJ1Zzi9GF5ujRscTXZPl5p0oBsNZofJ9i_-dzIqzw/viewform)

კითხვა: თქვენი ასაკი

დიაგრამა: 1



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

გამოკითხულთა ასაკი 14 წლის (1 პირი) 1%, 17 წლის (4 პირი) 3,9%, 18 წლის (3 პირი) 2,9%, 20 წლის (4 პირი) 3,9%, 21 წლის (3 პირი) 2,9%, 22 წლის (11 პირი) 10,7%, 23წლის (9 პირი) 8,7%, 24 (7 პირი) 6,8%, 25 წლის (8 პირი) 7,8%, 26 წლის (7 პირი) 6,7%, 27 წლის (7 პირი) 6,8%, 28 წლის (10 პირი) 9,7%, 29 წლის (8 პირი) 7,8%, 31 წლის (6 პირი) 5,8%, 32 წლის (4 პირი) 3,9%, 34 წლის (5 პირი) 4,9%, 41 წლის (4 პირი) 3,9%, 43 წლის (2 პირი) 1,9%.

კითხვა: სქესი

დიაგრამა: 2



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

გამოკითხულთა სქესის უმრავლესობა მდედრობითი (60 პირი) 56,6%, მამრობითი (46 პირი) 43,4%.

კითხვა: გამოკითხვის ადგილი

დიაგრამა:3



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

გამოკითხვის ადგილი ბათუმი (43 პირი) 45,3%, თბილისი (23 პირი) 24,3%, ქობულეთი (9 პირი) 9,5%, ქუთაისი (17 პირი) 17,9%, წყალტუბო (1 პირი) 1,1%.

კითხვა: ვიზიტის მიზანი

დიაგრამა: 4



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

გამოკითხულთა ვიზიტორის მიზანი, ქართული სამზარეულო და ღვინო (61 პირი) 57,5%, ისტორიული და კულტურული ძეგლები (45 პირი) 42,5%, სტუმართმოყვარეობა (50 პირი) 47,2%, ბუნება და მთები (59 პირი) 55,7%, სხვა (31 პირი) 29,2%.

კითხვა: ტურიზმის რომელ სახეობას ანიჭებთ უპირატესობას?

დიაგრამა: 5



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

გამოკითხულთა უმრავლესობა (35 პირი) 33% სათავგადასავლო ტურიზმი, (30 პირი) 28,3% ეკოტურიზმი, (21 პირი) 19,8% კულტურული ტურიზმი, (20 პირი) 18,9% სხვა.

კითხვა: სად აპირებთ ღამის გათენებას?

დიაგრამა: 6



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

გამოკითხულთა უმრავლესობა (34 პირი) 32,1% სასტუმროში, (23 პირი) 21,7% საკემპინგე ადგილზე კარვებით, (22 პირი) 20,8% ჯერ არ გადამიწყვეტია, (17 პირი) 16% საოჯაო სასტუმროში, (7 პირი) 6,6% დედაქალაქში, (3 პირი) 2,8% სხვა.

კითხვა: რამდენად დამაკმაყოფილებელია ტურისტული ინფრასტრუქტურა საქართველოში?

დიაგრამა: 7



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

გამოკითხულთა უმრავლესობა (43 პირი) 40,6% კარგი, (31 პირი) 29,2% საშუალო, (30 პირი) 28,3% ძალიან კარგი, (1 პირი) 0,9% ძალიან ცუდი, (1 პირი) 0,9% ცუდი.

კითხვა: რის გამოსწორებას ურჩევდით ტურისტული მომსახურების მიმწოდებლებს? (სასტუმრო, რესტორანი და სხვა).

შენიშვნა: ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე დიაგრამის შედგენა არ ჩავთვალეთ საჭიროდ.

გამოკითხულთა უმრავლესობა ამბობს რომ: სასტუმროს; რესტორანს; კაფე-ბარებს; საკემპინგო ადგილების მოწესრიგებას; იყოს ფასები შესაბამისი პროდუქტი ჯანსაღი და უვნებელი; მეტი მობილიზაცია; მომსახურების გაუმჯობესებას; ყველაფერს ნუ გააძვირებენ; გააუმჯობესონ პერსონალი; ქართული კულტურის მეტად ჩვენება ტურისტევისთვის; მარკეტები; ჰოსტელები; იყოს ფასები შეასაბამისი და რეალური; მარკეტებში ვადაგასული პროდუქტი; სასტუმროს მომსახურეობის გაუმჯობესება; მაღალმთიანების მოწესრიგებას; ბაზრების მოწესრიგება; საოჯახო სასტუმროების მოწესრიგებას; რესტორანში და ასევე სასტუმროში პერსონალს ტურისტების მიმართულებები მეტი სტუმართმოყვარეობის გამოჩენა; გზების მოწესრიგება; მეტი სტუმართმოყვარეობა როგორც ქართველებს შეეფერებათ.

კითხვა:რომელი ტურისტული ობიექტები დაათვარიელეთ, ან აპირებთ რომ დაათვარიელოთ?

შენიშვნა: ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე დიაგრამის შედგენა არ ჩავთვალეთ საჭიროდ

რაჭა, სვანეთი, ბათუმი, მცხეთა, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, გომისმთა, აჭარა, ყაზბეგი, იმერეთი, ვარძია,ოკაცეს კანიონი, ბათუმი ბოტანიკური ბაღი, ქედა, მესტია, დუშეთი, მარტვილი, ქართლ-კახეთი, სხალთა, სიონი, ერონული ნაკრძალი, ჯუთას, პრომეთეს მღვიმე, სათაფლია, ყაზბეგში არაგვის ხეობა, ჟინვალის წყალსაცავი, ანანურის ციხე, რკინის მთა,სამეგრელო-ზემო-სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ბორჯომი, მაღალმთიანები, მტირალა, საქართველოს ყველა კუთხის ნახვის.

კითხვა: გაუწევთ თუ არა რეკომენდაციას საქართველოს როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილს?

დიაგრამა: 8



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე.

გამოკითხულთა უმრავლესობა (103 პირი) 98,1% ეთანხმება საქართველოს როგორც ტურისტულ დანიშნულების ადგილს, ხოლო (2 პირი) 1,9% არა.

დასკვნა

თანამედროვე ეტაპზე რეგიონული ტურიზმი განიხილება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, რომელიც გამოხატავს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ურთიერთქმედებას. მისი წარმატებული განვითარება დამოკიდებულია არსებული ფაქტორების სწორ გათვლაზე, რადგან ამ ფაქტორებს შეუძლია ხელი შეუწყოს ადგილობრივი ტურიზმის განვითარების ტემპებსა და მის გასვლას ტურისტული მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე.

აქედან გამომდინარე, ნაშრომში წარმოდგენილია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ტურიზმის განვითარებაზე საქართველოში, ამასთან, როგორც ირკვევა, ტურისტული მოთხოვნების ფაქტორები პრიორიტეტულია ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის.

ნაშრომში განხილულმა მექანიზმებმა ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპებთან დაკავშირებით საშუალება მოგვცა შეგვემუშავებინა რიგი ხერხებისა

რეგიონში ტურიზმის სფეროს შემდგომი სრულყოფისათვის, ასევე, მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის. კერძოდ:

- რეგიონული ტურიზმის მდგრადი განვითარების ადაპტირებული მექანიზმები მიზანმიმართული უნდა იყოს მისი ყველა ნაწილის - მოთხოვნასა და შეთავაზებების ფაქტორების, ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური ელემენტების კომპლექსური კვლევისაკენ;

- ტურიზმის სისტემის შიგნით ანალიზის კომპლექსურობის უზრუნველყოფა და ამ სისტემის ჰარმონიული შერწყმა ქვეყნის საერთო პოლიტიკაში. მიგვაჩნია, რომ ამგვარი ინტეგრაციის დაგეგმვა დაგვეხმარება, გადავჭრათ პოტენციურიწინააღმდგეგობები დაკავშირებული გარკვეული რესურსების გამოყენებასთან, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებასთან.

ამ საკითხების შესწავლა ტურისტული მომსახურების ჭრილში საშუალებას მოგვცემს, გავაკეთოთ დასკვნები:

- იკვეთება ტუროპერატორების ინტერესი გამაჯანსაღებელი და ეკოლოგიური ტურებისადმი, ასევე, აქტიური და კრეატიული დასვენების ტურებისადმი.

- შესამჩნევად გამოცოცხლდა ტურბიზნესი რეგიონებში ტურიზმის განვითარებისთვის სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების მიღებით.

- შემაფერხებელ ფაქტორს ინვესტორებისთვის წარმოადგენს საკმაოდ სუსტი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტულ ბიზნესში ინვესტიციებთან დაკავშირებულ გარანტიებს.

- მთავარ ნაკლად რჩება ტურიზმის არასაკმარისად განვითარებული ინფრასტრუქტურა და სერვისის არც თუ ისე მაღალი დონე.

აღნიშნული დასკვნების საფუძველზე ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის საქართველოში მიზანშეწონილია რიგი ზომების გატარება:

-- მომხმარებელზე მარკეტინგული ზემოქმედების ზომების გამოყენება;

-- ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება, სერვისული საწარმოების ქსელის შექმნა, რომლის საქმიანობა უშუალოდ ტურისტებზე იქნება მიმართული;

-- ძირითადი და დამატებითი სერვისული მომსახურების გაფართოება და ხარისხის ამაღლება;

-- ტურიზმის განვითარების ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; ტურიზმის ხელშეწყობისა და განვითარების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება-რეალიზება;

-- კვალიფიკაციური სპეციალისტების მომზადება;

საქართველოს ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალი საკმარის რესურსს იძლევა ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის. ამას ძალიან შეუწყობს ხელს აქტიური სარეკლამო კამპანია, რაც კეთილსასურველად აისახება ტურისტთა რაოდენობაზე. ასევე, მისასალმებელია, რომ ბოლო წლებში იზრდება საინვესტიციო პოტენციალი.

მიგვაჩნია, რომ ტურიზმის მდგრადი ეფექტური განვითარებისთვის უნდა განხორციელდეს ხელისუფლების მუნიციპალური და რეგიონული ორგანოებისა და კერძო სამეწარმეო სტრუქტურების ურთიერთთანამშრომლობის შემდეგი მექანიზმები:

-- ურთიერთზემოქმედების ამოცანების დასახვით ტურიზმის რეგიონულ ობიექტებსა და სუბიექტებს შორის, რომლებიც ფუნქციონირებენ საქართველოს ქალაქებსა და რეგიონებში, შეიქმნას ერთიანი ტურისტული სივრცე.

-- შემუშავდეს ერთიანი ფასწარმოქმნის პოლიტიკა, რაც საშუალებას იძლევა გამოირიცხოს ფასების უსაფუძვლო აწევა ინდივიდუალური ტუროპერატორების მიერ.

ერთიანი ტურისული სივრცის შექმნა საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტურად იქნას გამოყენებული ტურიზმის არსებული საწარმოები და დაწესებულებები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, ტრანსპორტი, ასევე, შემოსული თანხის ნაწილი ჩაიდოს მათი რეკონსტრუქციისა თუ ახალი მშენებლობებისათვის.

ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია გათვალისწინებული უნდა იქნეს ტურიზმის დაგეგმარებაში. ამასთან აუცილებელია გამოყენებული იქნას სტრატეგიული დაგეგმარება, მოდელირება, შესაძლო უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მეთოდების გათვალისწინებით. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა ტურისტული ინდუსტრიის სამომავლო მდგრადი განვითარებისთვის.

ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის ტურისტული კომპანიების მარკეტინგულ საქმიანობაში გამოყენებული უნდა იქნას გლობალური ინტერნეტ-მარკეტინგული ქსელი, რომელიც უნიკალური საკომუნიკაციო სისტემაა. მისი გამოყენება შეიძლება არა მარტო ერთი კონკრეტული მიზნისთვის. მისი მიმზიდველობა მრავალფეროვან შესაძლებლობებში მდგომარეობს. იტნერნეტი არის რეკლამის, მარკეტინგის განვითარების, ტურისტული პროდუქტის გაყიდვების, ახალი კლიენტების ძიებისა და მათთან ურთიერთობის მარტივი დამყარების საშუალება.

ტურიზმი ჩართული უნდა იყოს ტერიტორიული დაგეგმარების ნაციონალურ სცენარში, განსაკუთრებით, ტურიზმის ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსებისას.

ამრიგად, იმისათვის, რომ ტურიზმმა საქართველოში მიაღწიოს მდგრად განვითრებას, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი. მიმაჩნია, რომ საჭიროა მუშაობა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, სერვისისა და მომსახურების დონის ამაღლებაზე, რეკლამირების გაფართოებაზე, მენეჯმენტის დახვეწაზე, ასევე, სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების გაძლიერებაზე, ინვესტიციების გაზრდაზე. საქართველოს ყველა პირობა და საშუალება აქვს, რომ გახდეს საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ცენტრი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე თ., ტურისტული საქმიანობის სახელმწიფო მარეგულირებელი მექანიზმებისა და რეგიონული ტურიზმის განვითარების სრულყოფის საკითხები, დისერტაცია, ბათუმი, 2016
2. დავითაშვილი ეკ., ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, 2010
3. კვარაცხელია ნ., კულტურული ტურიზმის თეორია და პრაქტიკა. თბილისი, 2009
4. კოჭლამაზაშვილი ლ. ტურიზმის ბიზნესის საფუძვლები, თბ, 2004
5. მარგველაშვილი მაია, ტურიზმის ეკონომიკა, თბილისი, 2012

6. მეტრეველი მ., ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები, თბილისი, 2008
7. მეტრეველი მ., გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, თბ., 2012
8. რაჯებაშვილი გ., ტურიზმის განვითარება საქართველოში, თბილისი, 2012
9. ტურიზმის პოლიტიკა, სალექციო კურსი, თბ. 2008
10. საქართველოს მთავრობის დადგენილება # 279, 2015 წლის 23 ივნისი, მუხლი 2, ქ. თბილისი
11. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2018
12. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 (2015). საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარები სსამინისტრო, თბილისი
13. შუბლაძე ვ., ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განვითრებული ქვეყნების ეკონომიკაში, ჟურნ. ,,ფინანსები", 2004
14. ყორღანაშვილი ლარისა, ,,ტურიზმის ბიზნესი", თბილისი, 2010
15. Александрова А., Структура туристского рынка, М., Пресс-Соло, 2002
16. Боголюбов В., Экономикка туризма, М., изд. Академия, 2005
17. Игнатьева И., Организация туристской деятельности, Л., 2014;
18. Киселёва И., Влияние инновации на конкурентоспособность предприятий туристского бизнеса, журн. Статистика и экономика, №5, 2011
19. Маркеев А., О правах на объекты интеллектуальной собственности, Вестник, 2006
20. Мирсакова В., Значение туризма в миромой экономике, Ж. Молодой учёный, № 5, 2016
21. Скобкин С., Практика сервиса в индустрии гостеприимства и туризма, М., 2007
22. Пузаков Е., Честоков В., Международный туристский бизнес, М., 2003

ინტერნეტ-წყაროები:

23. http://vet.ge/wp-content/uploads/2015/08/turizmis-industria
24. http://fordes.ge/nevs/2714/turizmis-efeqti
25. http://www.ungeorgia.ge
26. http://ninochanchaleishvili.blogspot.com
27. httpr://www.tsu.ge/file db/economist fakultu/vako.pdf
28. http://www.researchgate.net
29. https://commersant.ge/ge/post
30. http://batumelebi.netgazeti.ge/nevs/147990
31. http://tourism-georgia.blogspot.com/
32. http://sites.google.com
33. http://adjara.gov.ge/branches/
34. http://iliauni-1-3-magda-khutsishvili.blogspot.com/